ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 13 ოქტომბერი, 2020 №214 (8478) ფასი: 60 თეთრი

პროკურატურამ ზურაბ ნოღაიდელი დაკითხა

გვ.5



„ივერი მელაშვილი თვლის, რომ აბსოლუტურად უდანაშაულოა“

„ათენში სააკაშვილზე თავდასხმით „ოცნებამ“ მას რეიტინგი აუწია“

გვ.3 გია ხუხაშვილი: „მდინარაძის კომიკურ განცხადებებზე კომენტარი მე როგორ ვაკეთო?! თავი სერიოზული კაცი მგონია“

„მარტო ხელისუფლებაში არ არიან ასეთები, ოპოზიციასაც არ აკლია თავისი მარგალიტები“

ქართული ოცნება	36%
ენმ-გაერთიანებული ოპოზიცია	17%
ევროპული საქართველო	5%

ედისონ რისერჩის მონაცემები გვ.3

„რას ითხოვს ივანიშვილი „ოცნებისგან“?!

გვ.2

მამუკა გამყრელიძე: „სამღვდელოების წარმომადგენლებს რატომ ჰგონიათ, რომ რაღაცა რუკის გამოჩენით, დავითგარეჯის საკითხი ასე მარტივად გადაწყდება?!“

გვ.2

რამაზ საყვარელიძე: „არჩევნების შემდეგ ოპოზიცია ეცდება ქუჩაში გამოვიდეს“

ელენე ხოშტარია გიგი უგულავას გაემიჯნა

„ჩემი პარტიის კამპანიის ფორმას არ ვიზიარებ“



გვ.3

ოკუპირებულ აფხაზეთში

მოხალისეები მთიანი ყარაბაღისთვის ირაზმებიან. გროვდება სურსათი და მედიკამენტები

გვ.3

გვ.2 მამუკა მდინარაძე: „ნაცმოძრაობის სხვადასხვა ფრთა ერთმანეთს ჭამს“

გიგი უგულავა: „წინ მუშტი ივანიშვილს და უკან იდაყვი სააკაშვილს“

ISSN 1987-9385

5 კახეთში 22 წლის მამაკაცი მწვადით დაიხრჩო

6 ილჯამ ალიევი: „აზერბაიჯანის არმიამ სომხების სპეცრაზმის დიდი ჯგუფი გაანეიტრალა“

5 72 წლის მამაკაცი 9 წლის ბავშვთან გარყვნილი ქმედებისთვის დააკავეს

6 ევროკავშირი: „ლუკაშენკოს ლეგიტიმაცია არ გააჩნია“

რა მოხდა ხონში

„რას ითხოვს ივანიშვილი „ოცნებისგან“?!

მამუკა გამყრელიძე: „სამღვდელოების წარმომადგენლებს რატომ ჰგონიათ, რომ რაღაცა რუკის გამოჩენით, დავითგარეჯის საკითხი ასე მარტივად გადაწყდება?!“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ყოფილი დიპლომატი, „ძალა ერთობაშიას“ ერთ-ერთი ლიდერი მამუკა გამყრელიძე პასუხობს.

– ბატონო მამუკა, არჩევნების მოახლოებასთან ერთად სიტუაციაც იძაბება. საუბარია, რომ არჩევნების წინ ახალ სკანდალებს უნდა ველოდეთ. რამდენად ელით სიტუაციის დაძაბვას?

– არ ვიცი სიტუაცია რა სცენარით განვითარდება, თუმცა ფაქტია, რომ ყველაფერს გამოიყენებენ. აქ დაშინებაც იქნება, იქნება შეზღუდვებიც და იქნება საშინელი და უაზრო შავი პიარი. ის რაც ხდება საზღვრებთან და დელიმიტაციასთან დაკავშირებით, ეს არაფერში არ ჯდება.

– თავად შეეხეთ ამ თემას, ბატონო მამუკა, დიპლომატი იყავით, სააკაშვილის ხელისუფლების მთავრობის წევრი. რა ხდება ამ მხრივ და ამ ორი ექსპერტის დაკავებით შემოიფარგლება გამოძიება თუ ზედა რგოლებისკენ წავა ეს საქმე? ხომ არ უნდა ველოდეთ, რომ დაიჭერენ ვინმეს სააკაშვილის მთავრობიდან?

– ეს ორი ადამიანი მეისრეა. მათ არ ჰქონდათ იმის საშუალება, რომ „სამშობლო გაეყიდათ“, გადაეცათ მიწები აზერბაიჯანისთვის და ასე შემდეგ. ეს ადამიანი ჩვეულებრივი ექსპერტია, მელაშვილი, დანარჩენი უკვე, ორ სახელმწიფოს შორის მოლაპარაკების საგანია. რუკებზე ლაპარაკი და ასე შემდეგ, ეს ნებისმიერ შემთხვევაში პროცესია და არ ხდება ამის გადაწყვეტა ერთ დღეში და ერთ წუთში. ერთი ექსპერტი არ არის ამ საკითხში ჩართული, აქ ექსპერტების მთელი ჯგუფია. აქედან გამომდინარე, აიღო და დააბრალო ერთ ადამიანს ეს ყველაფერი, არის აბსურდი.

– მაშინ საით არის მიმართული ეს ყველაფერი? ოპონენტების გაშავებისკენ?

– რა თქმა უნდა, ასეა და ახლა წავა პროცესი და იმის ძიება, რომ მაშინდელ ხელმძღვანელობას დააბრალონ ეს ყველაფერი. საბოლოო ჯამში, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი სააკაშვილამდე მივა, მაგრამ მანამდე ეს შეეხება მაშინდელ საგარეო საქმეთა მინისტრს, შინაგან საქმეთა მინისტრს, უშიშროების საბჭოს თავმჯდომარეს, ასევე სასაზღვრო დეპარტამენტს.

– ანუ ზედა ეშელონებისკენ მიდის ეს ყველაფერი და ამ ექსპერტების დაკავება უბრალოდ ამის დასაწყისია?

– აუცილებლად ასე იქნება. აბა ისე რა აზრი აქვს მათ დაკავებას?! ყველას გვესმის, ხომ, ისე უბრალოდ სასაცილოა ეს ყველაფერი. თურმე ერთი უბრალო ექსპერტი ყოფილა დამნაშავე ამ ყველაფერში.

– ასეც რომ ყოფილიყო, ხელისუფლებასთან შეთანხმების გარეშე ამ გადაწყვეტილებას ხომ ვერ მიიღებდნენ?

– გამორიცხულია, რანაირად! ექსპერტის დონეზე რომ ხდებოდეს მიწების გადაცემა, მაშინ დავღუპულვართ და ეგ არის. ეს არ ხდება ასე. ეს არის მართლაც თითიდან გამოწოვილი ამბავი. თუ რაღაცა შეეშალათ, კი ბატონო, რა თქმა უნდა, ეს უნდა გაირკვეს, სასამართლოში იქნება ეს თუ ექსპერტთა წრეებში. მართლაც გასაოცარია ამბავია, რასაც ახლა ჩვენ ვუყურებთ, რომ ერთ ადამიანს დააბრალო ეს ყველაფერი.

– თქვენ აცხადებთ, რომ ზედა ეშელონებისკენ წავა პროცესიო. ეს იქნება უბრალოდ ბრალდებები და ტალახის სროლა, თუ პირდაპირ დაკავებებს ელოდებით?

– მე ველოდები იმას, რომ აუცილებლად გაგრძელდება ეს ჯაჭვი, სხვა შემთხვევაში რა აზრი ჰქონდა ამ ყველაფერს. ყველაფერი მიდის ზედა ეშელონებისკენ. ერთი არ დაგვავიწყდეს, რომ ახლანდელი პრეზიდენტი, სალომე ზურაბიშვილი, მაშინ იყო საგარეო საქმეთა მინისტრი. მაშინ დაკითხონ სალომე ზურაბიშვილიც. ძალიან არ მომწონს ის მომენტი, რომ სწორედ სალომე ზურაბიშვილისგან წამოვიდა ეს ყველაფერი, როდესაც ის ჩავიდა აზერბაიჯანში და ასე შემდეგ.

– მან გააქტიურა ეს თემა? ანუ რა ხდება?

– აქ არის ერთი კითხვა, ვის სჭირდება ეს ყველაფერი და ვინ მოიგებს ამ ამბიდან?! ვის სჭირდება და რუსეთს! ამ ყველაფრიდან ერთადერთი მოგებული დარჩება რუსეთი. კავკასიაში ძალიან დაიძაბა სიტუაცია. სომხეთი ჩვენით ძალიან უკმაყოფილოა. ვითომ ჩვენ ვატარებთ აზერბაიჯანულ სამხედრო ტვირთებს, რაც აბსურდია და არ ვატარებთ სომხურ ჰუმანიტარულ ტვირთებს, თითქოს ცოტა დალაგდა სიტუაცია, მაგრამ სომხების უკმაყოფილება მაინც დარჩა და ამას არც მალავენ. ახლა მეორე მხარეც გავანაწყენეთ, ანუ აზერბაიჯანი.

– რატომ გავანაწყენეთ? ჩვენი საზღვრის დადგენას ვითხოვთ.

– როდესაც ასეთი დაძაბული სიტუაციაა, უცბად დავიწყეთ სასაზღვრე პრობლემებზე ლაპარაკი, მაშინ როცა, ეს პრობლემა და ამაზე საუბარი გრძელდება ჯერ კიდევ შევარდნაძის დროიდან. კომუნისტების დროს რომ იყო შევარდნაძე, 70-იან წლებში, აი იმ პერიოდიდან. რატომ გახდა მაინცდამაინც აქტუალური დღეს?! ხომ შეიძლებოდა ცოტა უფრო მშვიდ პერიოდში მომხდარიყო?! ან სამღვდელოების წარმომადგენლებს რატომ ჰგონიათ, რომ რაღაცა რუკის გამოჩენით, ეს საკითხი ასე მარტივად გადაწყდება?! გამორიცხულია! ეს არის ორ ქვეყანას შორის კომისიების ძალიან ხანგრძლივი მუშაობის საკითხი. თურქეთთან საკმაოდ სწრაფად მოხდა ეს დელიმიტაცია, რუსეთთან, მოგეხსენებათ, რომ საზღვარი საერთოდ არ გაგვაჩნია, სომხეთთან და აზერბაიჯანთან კი ნაწილობრივ დელიმიტირებულია. სრულიად უდროო იყო ამ სიტუაციაში ამ საკითხის წამოწევა. ამ ადამიანების დაკავებაც დიდი სიბეცე იყო. როგორც ჩანს, ჩვენთან სასამართლო საერთოდ აღარ მუშაობს. წინა ხელისუფლების დროს სასამართლოს ნარჩენები მაინც იყო და ახლა ეს ნარჩენებიც აღარ არსებობს! რისთვის დააკავეს ეს ადამიანები, ამიხსნას ვინმემ, სადმე გამქცევები არიან?!

– არ უნდა დაეპატიმრებინათ?

– რა თქმა უნდა, არა. ვისზე უნდა მოეხდინათ ამ ადამიანებს ზეწოლა? ეს ხომ აბსურდია.

– ბატონო მამუკა, თქვენ აცხადებთ, რომ ეს ექსპერტები არიან მეისრეები და ეს ჯაჭვი აუცილებლად გაგრძელდებაო. კიდევ ვის დაპატიმრებას ელით?

– მე არ ვიცი, ვის დააპატიმრებენ, მაგრამ მე არ გამოვრიცხავ, რომ მოხდეს გაშავება იმ დროინდელი ხელისუფლების წევრების, ასევე მათი დაკითხვა, ლოგიკა ამას გვკარნახობს.

– ელოდებით, რომ ეს თემა კიდევ უფრო გამწვავდება არჩევნებამდე?

– კი, ასე იქნება. ალბათ დაკითხავენ იმ პერიოდის შინაგან საქმეთა მინისტრს, საგარეო საქმეთა მინისტრს, ალბათ უშიშროების საბჭოს თავმჯდომარესაც, სასაზღვრო დეპარტამენტის ხელმძღვანელი და თქვენ წარმოგიდგენიათ, ყველა, ვინც ჩამოვთვალე, აბსოლუტურად ყველა არის პოლიტიკური პირი. აქედან რა სკანდალები აგორდება, თქვენც ხომ წარმოგიდგენიათ?! თუ ამის უნარი გააჩნიათ, მაშინ გააგრძელებენ და მივლენ აქამდეც. მარტო ამ ორ ადამიანზე არ უნდა გადატეხონ ჯოხი. როგორც თავად ამბობენ, თუ მართლა სახელმწიფოს ღალატი მოხდა, მაშინ უნდა წავიდნენ შორს! და მიადგებიან ბოლოს და ბოლოს პრეზიდენტ საკაშვილს. ალბათ ეს არის მათი საბოლოო მიზანი. სადამდე შეძლებენ წასვლას და სადამდე ეყოფათ უგუნურება, გამოჩნდება. ვინც ჩამოვთვალე, ყველა პოლიტიკური ფიგურაა და წინასაარჩევნოდ ეს ყველაფერი ძალიან გაძნელდება.

– რამდენად წავლენ ამაზე?

– არ ვიცი, ვერ გეტყვით. უბრალოდ, მე იმის თქმა მინდა, რომ ის, რაც ხდება ახლა, ეს არის დასჯა ყველაზე ნაკლებად დამნაშავე ადამიანების. ტალახს ისვრიან და შენ თავი უნდა იმართლო და იწმინდო ეს ტალახი! ეს ხომ ჩვეულებრივი ძველისძველი მეთოდია.

– კიდევ თუ ელოდებით მსგავსი ამბების გახეთქვას ოპონენტების წინააღმდეგ?

– ალბათ იქნება. დღეს ოპოზიცია არის ძალიან სუსტი და რასაც მე ვუყურებ, ოპოზიციის მხრიდან, მძლავრი საარჩევნო კამპანია არ მიმდინარეობს. მეორეა, კი, ოპოზიცია სუსტია, მაგრამ ხელისუფლებას ძალიან დიდი პრობლემები აქვს მოსახლეობასთან. არა თუ ოპოზიციასთან, არამედ მოსახლეობასთან. ამიტომ როგორ წავა სიტუაცია და როგორ გადაწყდება საბოლოო ჯამში ეს ყველაფერი, ძნელი სათქმელია. მით უმეტეს, მე შიგნიდან მოვკარი ყური, რომ არ იქნებიან კმაყოფილები მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვებით „ქართულ ოცნებაში“, არამედ მამა და მარჩენალი ითხოვს, რომ გამარჯვება იყოს კონსტიტუციური უმრავლესობით.

– ასეთი დავალება აქვთ?

– დიახ, ივანიშვილი ამას მოითხოვსო და თქვენ წარმოიდგინეთ, ეს როგორი მისაღწევი იქნება?! ძალიან რთული! გამოდის, რომ უნდა ადგნენ და პირდაპირ დაწერონ ის ციფრი, რაც აწყობთ, რადგან ამდენის აღებას ვერ მოახერხებენ ვერანაირად.

– ძალიან ცხელი არჩევნები გველოდება?

– საშინელი. რეალურად რასაც ვხედავთ, ამ პოსტსაბჭოთა სივრცეში არჩევნები საერთოდ აღარ არსებობს. რასაც უნდათ, იმ შედეგებს წერენ ხელმძღვანელები.

– რისი თქმა გინდათ, რომ „ოცნება“ არ შეიცვლება?

– კლდიაშვილის პერსონაჟისა არ იყოს, „ამ ამბიდან, კარგს არაფერს გამეველი მეო“. ასე იქნება ზუსტად. კარგი დასასრული არ ჩანს.

რამაზ საყვარელიძე: „არჩევნების შემდეგ ოპოზიცია ეცდება ქუჩაში გამოვიდეს“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი, ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო რამაზ, ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ მაჟორიტარულ ოლქებში მეორე ტურებს თითქმის არ ელოდებიან. არადა ოპოზიცია სრულიად საწინააღმდეგოს აცხადებს. შეიძლება პირველივე ტურში გამოვლინდეს გამარჯვებული უმრავლეს ოლქში?

– მიმდინარე პოლიტიკური პროცესის შინაარსი იმდენად ჭრელია, რომ ამ საკითხზე მხოლოდ სოციოლოგიაზე დაყრდნობით შემიძლია გიპასუხოთ. სოციოლოგიაში რაც უფრო დიდია კონკურენტებს შორის რეიტინგებში განსხვავება, მით უფრო ადვილია პროგნოზი, რადგან დარჩენილ მცირე დროში თითქმის რთულია გასწრება.

აქამდე არსებული მონაცემებით დიდია სხვაობა „ქართული ოცნების“ როგორც პარტიული რეიტინგის, ისე მაჟორიტარების რეიტინგი. რაც უფრო დიდია ასეთი სხვაობა, მით უფრო ნაკლებია შანსი, რომ მეორე ტური გაიმართოს. ამ დროს გამარჯვებული პირველივე ტურში ვლინდება ხოლმე.

ამიტომ ვამბობ, რომ ბევრ ოლქში მეორე ტური ალბათ ნაკლებად იქნება. საერთოდ, ხშირ შემთხვევაში ამომრჩეველი არჩევანის გაკეთების დროს გადაწყვეტილებას იღებს იქიდან გამომდინარე, თუ რომელ პარტიას აძლევს ხმას.

– იმავე პარტიის მაჟორიტარს აძლევს ხმას?

– ხშირ შემთხვევაში ასეა. ერთგულ ამომრჩევლებზე აქ საუბარი არ არის.

ჯერჯერობით, გამოქვეყნებული მონაცემებით ასეთი სურათი გვაქვს. თუმცა, არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება. მათი ეს მხარდაჭერა უფრო განპირობებულია იმით, რომ ისინი სახელისუფლო პარტიას წარმოადგენენ. ამიტომ გვაქვს ასეთი დისბალანსი თუნდაც „ნაციონალურ მოძრაობასთან“. როგორც ჩანს, ხალხმა მაინც ვერ გადალახა ის სიძულვილი, ის კონკრეტული საქმეები, რომელიც აქვს „ნაციონალურ მოძრაობას“ თავის პოლიტიკურ ბიოგრაფიაში. მე არ ვსაუბრობ არც პოლიტიკურ კურსზე არც მათ მიერ დეკლარირებულ ღირებულებებზე, არა, რა თქმა უნდა, საუბარია კონკრეტულ საქმეებზე.

– თუმცა, ამავე რეიტინგებში „ნაციონალური მოძრაობა“ მეორე ადგილზეა. თქვენ ამბობთ მისი ერთგული ამომრჩევლის ხარჯზე?

– რა თქმა უნდა! ეს არის ერთგული ამომრჩეველი. მე ასე ვიტყოდი, ეს მიხეილ სააკაშვილის ამომრჩეველია.

– ანუ, ეს სააკაშვილის რეიტინგია?

– რეალურად ასეა. ის არის ქარიზმატული პიროვნება, მას მოაქვს ეს ხმები პარტიაში. საზოგადოების რაღაც ნაწილში სიყვარული სწორედ მან ჩანერგა. ამ ემოციით მიჰყვებიან ლიდერს ადამიანები და არა რაციონალიზმის, ანალიზის და განსჯის საფუძველზე, როდესაც საუბარია ქარიზმატულ ლიდერზე.

– ელოდებით რაიმე ისეთ მოულოდნელობას, რაც არჩევნების პროცესში, შედეგებში კორექტივებს შეიტანს?

– ნაკლებად. მეტიც, სიმართლე გითხრათ, ყველაზე ნაკლებად ველოდები რაიმე სახის მოულოდნელობას. აზარტიც კი არ არის ისეთი, როგორიც უნდა იყოს. ერთ-ერთი ყველაზე უფერული არჩევნები შეიძლება აღმოჩნდეს.

– როგორ ფიქრობთ, არჩევნების შემდგომი პერიოდი იქნება ასეთი? პროცესების როგორი განვითარება არის მოსალოდნელი როგორც ერთი, ისე მეორე მხრივ?

– მოლოდინი არის, რომ არჩევნების შემდეგ ოპოზიცია ეცდება ქუჩაში გამოვიდეს, მაგრამ ასევე მგონია, არის მოლოდინი, რომ ოპოზიციის გარდა ქუჩაში არავინ არ გავა.

– ხალხი არ გავა?

– არაერთხელ ვნახეთ ოპოზიციის სურვილი, რომ ხალხი გამოსულიყო ქუჩაში, საპროტესტო აქციებში მონაწილეობა მიეღოთ, მაგრამ ოპოზიციამ ვერ გამოიყვანა იმ რაოდენობის ხალხი, რომელიც იმ ინტერესების შესაბამისი იქნებოდა, რომელიც იმ წუთისთვის ოპოზიციას ჰქონდა. ხალხი არ გამოვიდა თუნდაც შვილმკვდარი მამების მხარდასაჭერ აქციაზე, არადა იყო მოლოდინი, რომ ხალხი ქუჩაში გავიდოდა. თუმცა, ვნახოთ, როგორ განვითარდება პროცესები.

მამუკა მდინარაძე: „ნაციონალური მოძრაობის სხვადასხვა ფრთა ერთმანეთს ჭამს“

ნაციონალური მოძრაობის სხვადასხვა ფრთის წარმომადგენლები „ერთმანეთს ჭამენ“.

ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა მამუკა მდინარაძემ ჟურნალისტებთან განაცხადა, რითაც გიგი უგულავას ვიდეომიმართვას გამოეხმაურა, სადაც ის ამბობს, რომ მიხეილ სააკაშვილი ოპოზიციის ერთობას აზიანებს.

მამუკა მდინარაძის თქმით, „ნაციონალური მოძრაობა“ და „ევროპული საქართველო“ მანდატების გადანაწილებისთვის ჩხუბობენ.

– „ნაციონალური მოძრაობის“ სხვადასხვა ფრთის წარმომადგენლები, პირდაპირ ამ სიტყვის მნიშვნელობით არა, მაგრამ ერთმანეთს ჭამენ. გაიყვნენ, მაგრამ საერთო წარსული აქვთ და მომავალი, უბრალოდ, შიგნით ვერ იყოფენ დეპუტატობის მანდატებს, თუ ვის უფრო მეტი ექნება. ერთმანეთში ჩხუბობენ მანდატების გაყოფაზე – „ევროპულ საქართველოს“ 6-8 მანდატი ექნება თუ „ნაციონალურ მოძრაობას“ 10 და 15 მანდატი. ამის იქით, რეალური შედეგობრივი ინტერესი არ აქვთ და საუბრობენ ქვეყნის განვითარებაზე. ყველას კარგად ახსოვს მათი მოქმედებები და დაპირებების რაციონალური ხასიათი, – განაცხადა მამუკა მდინარაძემ.

მამუკა მდინარაძე მიხეილ სააკაშვილის იმ განცხადებასაც გამოეხმაურა, სადაც ის ამბობს, რომ საქართველოში ემიგრანტებს დააბრუნებს და პოლიციის რეფორმას აპირებს.

მამუკა მდინარაძე აცხადებს, „როგორ იქნება მისი წინასაარჩევნო განცხადება ადეკვატური, თვითონ აღარ არის, როგორც პოლიტიკოსი, მგონი, ათეული წელია“.

– ყველა მისი მომხრე ხედავს, რომ მისი ადეკვატურობის ხარისხი ძალიან დაბლა მიდის. მისი მეთოდებიც იმდენად არარეალისტურია, მისი მომხრეებიც როგორ მცირდებიან ბოლო დროს, ვხედავთ, – განაცხადა მდინარაძემ.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეგერაშვილი
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

გია ხუხაშვილი: „ათენში სააკაშვილზე თავდასხმით „ოცნებამ“ მას რეიტინგი აუწია“

„მდინარაძის კომიკურ განცხადებებზე კომენტარი მე როგორ ვაკეთო?! თავი სერიოზული კაცი მგონია“

იაგო ნაცვლიშვილი

არჩევნებამდე 18 დღეა დარჩენილი და დღითიდღე მატულობს პოლიტიკური ნიშნით ძალადობა. უკვე მოქალაქეებს ქუჩაშიც უსწორდებიან იმის გამო, რომ ის კონკრეტულ პარტიას უჭერს მხარს. ლევან ქართველიშვილს იმის გამო სცემეს, რომ ნაციონალური მოძრაობის წევრის ლევან ხაბეიშვილის მხარდამჭერი მაისური ეცვა. გაუსწორდნენ „ევროპული საქართველოს“ აქტივისტსაც. 11 ოქტომბერს კი თავდასხმა საქართველოს მესამე პრეზიდენტზეც სცადეს, როდესაც ის საბერძნეთის დედაქალაქ ათენში ქართველ ემიგრანტებს ხვდებოდა.

ამ დაპირისპირებების ორგანიზებით ხომ არ თამაშობს ძალიან სახიფათო თამაშს „ქართული ოცნება“, ხომ არ მყარდება ამით აზრი, რომ ხელისუფლება კრიმინალებს ახალისებს, მომგებიანია თუ არა თავად სააკაშვილისთვის „ოცნების“ ეს ქმედებები და როგორ უნდა გავიგოთ მამუკა მდინარაძის განცხადება, როდესაც ამბობს, რომ ოპოზიცია ვირუსს ავრცელებს? – ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი **გია ხუხაშვილი** საუბრობს.

– საარჩევნო კამპანიაში მოიმატა ძალადობის შემთხვევებმა. ეს არჩევნების მოახლოების თანმდევია და ისევ ისეთივე მანკიერი ტრადიცია გრძელდება, რაც გვქონდა ხოლმე?

– რა თქმა უნდა. რა შეიცვალა? შევცვალეთ ჩვენ რამე? ისევ ისეთივე დაპირისპირებებია და ნეგატიური დღის წესრიგი... ნეგატიური დღის წესრიგი თავისთავად ბადებს ძალადობას და ეს თავისთავად ცხადია. მით უმეტეს, როდესაც ხელისუფლება ყველა არჩევნების წინ მორიგი გადატრიალების თუ სახელმწიფო ღალატის თემას შემოაგდებს ხოლმე და ამით ტემპერატურას კიდევ უფრო ზრდის. სამწუხაროდ, ამით კიდევ უფრო ძალადობრივი და აგრესიული ხდება საარჩევნო სივრცე.

– ნაციონალური მოძრაობის მხარდაჭერისა და მისი მაისურის ჩაცმისთვის ადამიანს ქუჩაში გაუსწორდნენ.

– ეს არის ყოვლად მიუღებელი. ცინიკურად ჟღერს ეს იმ ფონზე, როდესაც ხელისუფლება ბოლო სამი დღის მანძილზე ყველგან ამაზე ლაპარაკობდა, უთოდანაც კი იმაზე ლაპარაკობდა, პროვოკაციაზე არ წამოვეგოთო. ჩვენ ვართ მშვიდობის მტრედები და ყველა სხვა მოძალადეაო. ფაქტები კი ამის საწინააღმდეგოზე მეტყველებს. ეს არის ყველაზე სამწუხარო.

– ცეცხლს ხომ არ ეთამაშება „ოცნება“, როდესაც პოლიტიკური მიზნების გამო საზოგადოების დაპირისპირებასა და გახლეჩას ცდილობს?

– სამწუხაროდ, ასეა ბოლო რამდენიმე ხელისუფლებისთვის დამახასიათებელი, რომ ძალაუფლების შენარჩუნებისათვის აკეთებს ამას. სამწუხაროდ, ჩვენ პოლიტიკურ ელიტას ჰგონია, რომ პოლიტიკური და ძალაუფლების ინტერესისთვის ყველაფერი მოსულა. სახელმწიფო ინტერესებზე გადაბიჯება, საზოგადოებასა და ადამიანზე გადაბიჯება, ყველაფერზე გადაბიჯება შეიძლება, ოღონდ მიაღწიო მიზანს. ანუ დარჩე ხელისუფლებაში, ან მოხვიდე ხელისუფლებაში. ასე რომ, ესეც არ არის სიახლე ჩვენს სინამდვილეში.

– სიახლე არ არის, მაგრამ ოდესღაც ხომ უნდა გავიზარდოთ პოლიტიკურად?

– ოდესღაც კი, მაგრამ არა ახლა.

– მიხეილ სააკაშვილს ჰქონდა საბერძნეთში შეხვედრა 11 ოქტომბერს, რასაც ახლდა ექსცესები. ეს ხელისუფლებისგან მართულია?

– ეს იყო ჩვეულებრივი ქოცური გამოხდომა, რაც ისევ სააკაშვილის სასარგებლოდ მუშაობს. წარმოიდგინეთ, როგორი ბრიყვი უნდა იყო, ასეთი რაღაცა რომ დაგეგმო?! შეიძლება დაგეგმო კონტრპროტესტი, რაღაცა პლაკატებით გაპროტესტო სააკაშვილის ჩასვლა საბერძნეთში, მაგრამ როდესაც ასეთ კრიმინალურ ხულიგნურ რაღაცას გეგმავ, ეს მხოლოდ სააკაშვილზე მუშაობს და არა – მის საწინააღმდეგოდ.

„მარტო ხელისუფლებაში არ არიან ასეთები, ოპოზიციასაც არ აკლია თავისი მარგალიტები“

– რატომ?

– აგიხსნით, რატომაც. იმიტომ, რომ ეს შეხვედრა შესაძლოა იმდენად არ გაშუქებულიყო, როგორც გაშუქდა მას შემდეგ, რაც ეს ინციდენტი მოხდა. ხომ ასეა? შესაბამისად, რაც უფრო მეტ სიბრიყვეს გააკეთებს ხელისუფლება, ეს არის სააკაშვილის ინტერესებში. საერთოდ ბიძინა ივანიშვილს და მიხეილ სააკაშვილს ერთი რაღაცა ახასიათებთ, ისინი ერთმანეთზე მუშაობენ. ანუ, ყველა არჩევნებზე თანხმდებიან, რომ მოდი, მე ვიქნები შენი შტაბის უფროსი და შენ იყავი ჩემი შტაბის უფროსი და პატიოსნად ასრულებენ ამ ფუნქციას.

– ისიც ხომ არ არის, რომ კრიმინალები ჰყავს ჩართული „ოცნებას“ პროცესში. ამას ხომ არ ადასტურებს ხელისუფლების ასეთი ქმედებები?

– სამწუხაროდ, ის, რომ კრიმინალები დღეს უკეთესად გრძნობენ თავს საქართველოში, ვიდრე ამას რამდენიმე წლის წინ გრძნობდნენ, არის სამწუხარო ფაქტია. მაგრამ უნდა ვხვდებოდეთ იმასაც, რომ კრიმინალები უფასოდ, ლამაზი თვალებისთვის არავის არაფერს უკეთებენ. ისინი შემდეგ ამაში შესაბამის ფასის გადახდას ითხოვენ და ეს არის საფრთხე და ამას უნდა მეტი დაფიქრება.

– ის ხელის დაფარება, რაც არაერთ საქმეზე გვინახავს, ამის გამოძახილია?

– რა თქმა უნდა. მათ მშვენივრად იციან ვალის დაბრუნებაზე მუშაობა.

– მამუკა მდინარაძემ განაცხადა, ოპოზიცია ხელს უწყობს კორონავირუსის გავრცელებასო. ეს განცხადება, როგორ უნდა გავიგოთ? მხოლოდ ოპოზიცია უწყობს ხელს და „ოცნების“ შეხვედრები უსაფრთხოა?

– არ ვიცი, ამაზე რა კომენტარი უნდა გავაკეთო?! მდინარაძემ ტესტი აიღოს თვითონ. ოღონდ მხოლოდ კორონავირუსზე არა, სხვა რაღაცებზეც.

– ფსიქოლოგიური ტესტის აღებას ურჩევთ?

– დიახ, ასეთ კომიკურ განცხადებებზე კომენტარი მე როგორ ვაკეთო?! თავი სერიოზული კაცი მგონია.

– კი, მაგრამ ჩვენ ვსაუბრობთ მმართველი პარტიის ერთ-ერთი საკვანძო თანამდებობის ადამიანზე.

– რა ვქნა ახლა?! თანამდებობაზე არ გინახავთ ასეთი პირები?! რამდენიც გინდათ, იმდენი მინახავს. მდინარაძე კიდევ სხვებზე ნორმალურია. უარესებიც ბევრი მომისმენია.

– კობახიძე უარესია?

– რა ვიცი, აბა. ყველა რომ ჩამოვთვალო, გრძელი სია გამომივა. მარტო ხელისუფლებაში არ არიან ასეთები, ოპოზიციასაც არ აკლია თავისი მარგალიტები.

„ქართული ოცნება“ — 36%, ენმ — ძალა ერთობაშია — 17%, ევროპული საქართველო — 5%

ედისონ რისერჩის მონაცემები

ედისონ რისერჩი წინასაარჩევნო განწყობების შესახებ საზოგადოებრივი აზრის კვლევას აქვეყნებს.

კვლევის მიხედვით, პასუხები კითხვაზე, თუ ვის მისცემდნენ ხმას, საპარლამენტო არჩევნები რომ დღეს ტარდებოდეს, ასე დადანაწილდა: „ქართული ოცნება“ – 36%; „ენმ – ძალა ერთობაშია“ – 17%; „ევროპული საქართველო“ – 5%; 24% – კი აცხადებს, რომ არ გადაუწყვეტია, თუ ვის მისცემს ხმას.

ამავე კითხვაზე, 4%-ის განცხადებით, ხმას „გიორგი ვაშაძე – სტრატეგია აღმაშენებელს“ აძლევს, „ლეიბორისტულ პარტიას“ – 3%; „პატრიოტთა ალიანსი“ – 3%; „გირჩი“ – 2%; „ლელო“ – 2%; „მოქალაქეები – ალეკო ელისაშვილი“ – 1% ; „ნინო ბურჯანაძე – ერთიანი საქართველო“ – 1%; „გამარჯვებული საქართველო – ირაკლი ოქრუაშვილი“ – 1%; სხვა პარტიები – 1%.

გადაუწყვეტელი 24%-ის პასუხები კითხვაზე „მაინც ვის მისცემდით ხმას, „ქართულ ოცნებას“ თუ ოპოზიციურ პარტიას, უფრო ვისკენ იხრება თქვენი სიმპათია“, ასე განაწილდა: ოპოზიციური პარტია – 30%; „ქართული ოცნება“ – 13%; არ ვიცი/უარი პასუხზე – 57%.

კომპანიამ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა ტელეკომპანია „ფორმულას“ დაკვეთით ჩაატარა.

კვლევა 17 სექტემბერი – 7 ოქტომბრის პერიოდში, პირისპირ გამოკითხვის მეთოდით ჩატარდა.

კვლევის ფარგლებში ქვეყნის მასშტაბით (გარდა ოკუპირებული ტერიტორიებისა) შემთხვევითი შერჩევის ტიპით გამოიკითხა საქართველოში მცხოვრები საარჩევნო უფლების მქონე 18 წლისა და მეტი ასაკის 4.500 ადამიანი.

შედეგების ცდომილება + – 1.5%-ია.

გიგი უგულავა: „წინ მუშტი ივანიშვილს და უკან იდაყვი სააკაშვილს“

გიგი უგულავამ ფეისბუქში ვიდეომიმართვა გაავრცელა, რომელშიც ამბობს:

„ივანიშვილს ვერ მოვიშორებთ, სანამ ბუფერად სააკაშვილი ეყოლება აფარებული. 7 წელია ივანიშვილის თამაშია „აქეთ მე, იქეთ მიშა“. ამ დაპირისპირებაში ბიძინა იგებს, მიშას კი იმედი აქვს, რომ ოდესღაც ბიძინა ისე მობეზრდება ხალხს, რომ ადრე თუ გვიან ძალაუფლება ხელში ჩაუვარდება.

გამოსავალი? ღიად და ცხადად ყოველგვარი უკანა აზრების, გარიგებების გარეშე, ღიად და გამჭვირვალედ ვთქვათ: სადაც მუშტი ბიძინას, იქვე იდაყვი მიშას. არ შევუქმნათ კოალიცია ივანიშვილის „ოცნებას“ და არ დავუჭიროთ მხარი სააკაშვილის პრემიერობას. მხოლოდ ასეა შესაძლებელი ივანიშვილის მოჯადოებული წრის გარღვევა, რომლის, მართალია ნაკლები პასუხისმგებლობით, მაგრამ სააკაშვილიც შემოქმედია. ურჩხულთან ბრძოლაში ის, სამწუხაროდ, ამ ურჩხულს დაემსგავსა. მე გული მტკივა, რომ ამის აღწერა მიწევს.

მთავარი ამოცანაა 1. „ოცნება“ 40% ქვევით დარჩეს. 2. ყველა ოპოზიცია ჯამურად იყოს ნაცმოძრაობაზე მეტი. 3. კოალიციური მთავრობა სააკაშვილის მონაწილეობის გარეშე. დარწმუნებული ვარ და ვიცი, როცა საქმე საქმეზე მიდგება, ენმ-შიც უმრავლესობა ამ აზრზე აღმოჩნდება. სააკაშვილის პერსონალური საკითხის გამო, ივანიშვილს ხელისუფლებაში არავინ დატოვებს. იქ ბევრი პატრიოტი ადამიანია, რომელსაც ყელში აქვს ამოსული ასეთი არაადამიანური დამოკიდებულება. ეს მიღწევადია თუ არ მივიღებთ ივანიშვილის თამაშს, რომ სააკაშვილია მისი ალტერნატივა. ამ ორმა ადამიანმა თავი ქვეყანაზე მაღლა დააყენა. ხალხს აბუჩად იგდებენ, რის გამოც ხალხისგან პასუხს მიიღებენ.

დიახ, უცნაური არჩევნებია – წინ მუშტი ივანიშვილს და იქვე უკან იდაყვი სააკაშვილს. ესაა გამარჯვების ფორმულა დღეს“.

ელენე ხოშტარია გიგი უგულავას გაემიჯნა

„ჩემი პარტიის კამპანიის ფორმას არ ვიზიარებ“

– გულწრფელად მინდა ვთქვა, რომ ჩემი პარტიის კამპანიის ამ ფორმას არ ვიზიარებ.

ამის შესახებ „ევროპული საქართველოს“ წევრმა, მაჟორიტარობის კანდიდატმა ვაკისა და საბურთალოს ოლქში ელენე ხოშტარიამ ჟურნალისტებთან განაცხადა, რითაც უპასუხა გიგი უგულავას ვიდეო მიმართვასთან დაკავშირებით დასმულ კითხვას.

– გასაგებია, რომ პროპორციული არჩევნები ითხოვს განსხვავებების ჩვენებას, კონკურენციის და ერთიანობის მიუხედავად. თუმცა, გულწრფელად მინდა ვთქვა, რომ ჩემი პარტიის კამპანიის ამ ფორმას არ ვიზიარებ, – აღნიშნა ელენემ ხოშტარიამ.

ოკუპირებულ აფხაზეთში მოხალისეები მთიანი ყარაბაღისთვის ირაზმებიან. გროვდება სურსათი და მედიკამენტები

მარიამ მჭედლიშვილი

„ამცახარა“: „ვაფასებთ სომხების დახმარებას სამამულო ომში“

მიუხედავად იმისა, რომ მთიან ყარაბაღში მხარეებს შორის მიღწეულია ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება, სიტუაცია მაინც რთულია.

მთიან ყარაბაღში შექმნილ მდგომარეობას ისევ ეხმიანებიან ოკუპირებულ აფხაზეთში.

აფხაზეთის ადმინისტრაცია ცდილობს, სომხეთისა და აზერბაიჯანის კონფლიქტში ნეიტრალური იყოს. თუმცა, ირიბად სოხუმი ერევნის მხარეს იჭერს.

სომხეთისადმი მხარდაჭერას არ მალავს ვეტერანთა ორგანიზაცია „ამცახარა“, რომელიც ყოველთვის იყო დე ფაქტო პრეზიდენტის, ასლან ბჟანიას მომხრე. ის აქტიურად იყო ჩართული ბრძოლაში რაულ ხაჯიმბას წინააღმდეგ და ბჟანიას ხელისუფლებაში მოყვანისთვის.

„ამცახარა“ აცხადებს, რომ ახსოვს და აფასებს სომეხი ძმების მიერ სამამულო ომში გაწეულ დახმარებას, სადაც ისინი „აფხაზი მებრძოლების გვერდით ქართველი აგრესორის წინააღმდეგ იბრძოდნენ“. ბევრ მათგანს მინიჭებული აქვს საბრძოლო ჯილდოები და აფხაზეთის გმირის წოდება.

აზერბაიჯანის წინააღმდეგ გამოდის ვეტერანთა უფრო რადიკალური ორგანიზაცია „არუაა“, რომელიც ასლან ბჟანიას ოპონენტია და ქართველებთან სავაჭრო ურთიერთობების აკრძალვის ინიციატორია. „არუაას“ შეფასებით, აზერბაიჯანმა განახორციელა აგრესია მთიანი ყარაბაღის, ანუ არცახის წინააღმდეგ.

– მხარს ვუჭერთ ჩვენს არცახის რესპუბლიკის ძმურ ხალხს და მის ხელმძღვანელობას. ვიმედოვნებთ, რომ საერთაშორისო საზოგადოება დაგმობს აზერბაიჯანის ქმედებებს. მოვუწოდებთ აფხაზეთის რესპუბლიკის ხელმძღვანელობას, იმოქმედოს არცახის რესპუბლიკასთან ხელმოწერილი შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების საფუძველზე, – აცხადებს „არუაა“.

ორგანიზაციამ მოუწოდა აფხაზეთის საზოგადოებას, დაეხმაროს არცახის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ხალხს.

თავის მხრივ, დახმარების საორგანიზაციო კომიტეტი შექმნა აფხაზეთში მოქმედმა სომხურმა დიასპორამ.

აფხაზეთში მიმდინარეობს სურსათის, მედიკამენტების, ნივთების შეგროვება მთიანი ყარაბაღისათვის. ხდება მოხალისეების მობილიზაციაც. ტვირთები ჯერ სოჭში გაიგზავნება, იქიდან კი სომხეთში, სადაც არიან მთიანი ყარაბაღიდან ლტოლვილები.

აფხაზეთში, სადაც ეკონომიკური კრიზისია, არცახისთვის თანხებიც შეგროვდა. ფული ცხელ წერტილში საჭიროების შემთხვევაში გაიგზავნება.

აფხაზეთის პარლამენტი მთიანი ყარაბაღის მოვლენებს მაშინვე გამოეხმაურა. სახალხო კრებამ ნეიტრალიტეტი დაიცვა. მან დაგმო აგრესიული ქმედებები, მხარეებს ცეცხლის შეწყვეტისკენ მოუწოდა და მათ სოხუმი მოლაპარაკებების ადგილად შესთავაზა.

აფხაზმა დეპუტატებმა ვერ გათვალეს, რომ სომხეთი და აზერბაიჯანი არ აღიარებენ აფხაზეთის დამოუკიდებლობას და თბილისთან შეუთანხმებლად იქ დასასვენებლადაც ვერ ჩავლენ.

მთიან ყარაბაღზე საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების მიპყრობას ეცადა ე. წ. საგარეო სამინისტრო.

მან გამოთქვა იმედი, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები ყურადღებას მიაპყრობენ აგრესიას არცახის წინააღმდეგ და შეამცირებენ ესკალაციას. უწყების აზრით, კონფლიქტის მშვიდობიანად მოწესრიგება შეუძლია ეუთოს მინსკის ჯგუფს.

ამ ფონზე რუსეთი აფხაზეთის ოკუპაციას აძლიერებს. რუსეთის ფედერაციასა და ოკუპირებულ რესპუბლიკას შორის ყალიბდება ერთიანი სოციალური და ეკონომიკური სივრცე. ერთიანი სივრცისათვის მუშავდება პროგრამა.

პროგრამის პროექტისათვის წინადადებებს აფხაზური სამუშაო ჯგუფი მოამზადებს. ათკაციან სამუშაო ჯგუფს ბჟანიას ადმინისტრაციის უფროსი ალხას კვიცინია ხელმძღვანელობს. შესაბამისი განკარგულება ასლან ბჟანიამ გამოსცა.

საქმე 080210620003830187
№2/1645-20

განჩინება
საქართველოს სახელით
საჯარო შეტყობინების შესახებ

12 აგვისტო 2020 წელი **ქ.ქუთაისი**

ქუთაისის საქალაქო სასამართლო
მოსამართლე ციცინო კიკვაძე

განმცხადებელი - სსიპ შემოსავლების სამსახური;
მოთხოვნის არსი - ქონების უპატრონოდ ცნობა.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 337-341-ე, 284-ე, 285-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. გამოქვეყნდეს საჯარო შეტყობინება (ცნობა) გაზეთში "ახალი თაობა" შემდეგი სახით:

2. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ციცინო კიკვაძის წარმოებაშია სამოქალაქო საქმე (№2/1645-20) სსიპ შემოსავლების სამსახურის განცხადებისა გამო, ქონების უპატრონოდ ცნობის თაობაზე.

3. უპატრონოდ საცნობ ქონებას წარმოადგენს:

250 კოლოფი თამბაქო „MANCHESTER"; სიგარეტი „MANCHESTER"- 100 კოლოფი, სიგარეტი „MANCHESTER"–580 კოლოფი, სიგარეტი „NZ" - 30 კოლოფი, სიგარეტი „MANCHESTER"- 36 კოლოფი, სიგარეტი „ECCO"– 15 კოლოფი, სიგარეტი„M1" – 19 კოლოფი, სიგარეტი„RIO"– 11 კოლოფი, სიგარეტი „LEON"– 8 კოლოფი, სიგარეტი „KING" – 4 კოლოფი, სიგარეტი„MANCHESTER"– 29 კოლოფი, სიგარეტი „MAC" – 64 კოლოფი, ჯამში -150 კოლოფი, სიგარეტი „MANCHESTER" – 90 კოლოფი, სიგარეტი „LEON" – 8 კოლოფი, ჯამში - 98 კოლოფი, სიგარეტი „MAC" – 25 კოლოფი, სიგარეტი „RIO" – 17 კოლოფი, სიგარეტი „ECCO" – 10 კოლოფი, ჯამში - 52 კოლოფი, სიგარეტი „MANCHESTER" - 73 კოლოფი, სიგარეტი „NZ" - 4 კოლოფი, სიგარეტი „RIO" - 1 კოლოფი, ჯამში - 78 კოლოფი, სიგარეტი „MANCHESTER" – 50 კოლოფი, სიგარეტი „MANCHESTER" – 14 კოლოფი, სიგარეტი „MANCHESTER" - 20 კოლოფი, სიგარეტი „MAC" - 30 კოლოფი, სიგარეტი „M1" - 20 კოლოფი, ჯამში - 70 კოლოფი, თუთუნი 3.2 კგ, თუთუნი 0.44 კგ, სიგარეტი „MAC" - 30 კოლოფი, სიგარეტი „MAC" - 2 კოლოფი, სიგარეტი „M1" – 2 კოლოფი, სიგარეტი „RIO"- 2 კოლოფი, სიგარეტი „GRAFF"- 1 კოლოფი, სიგარეტი „MANCHESTER"– 1 კოლოფი,ჯამში - 8 კოლოფი, სიგარეტი „MANCHESTER" – 20 კოლოფი, სიგარეტი „MAC" – 4 კოლოფი, სიგარეტი „MANCHESTER" – 65 კოლოფი, ჯამში 69 კოლოფი, სიგარეტი „MANCHESTER" – 45 კოლოფი, სიგარეტი „MAC" – 14 კოლოფი, ჯამში 59 კოლოფი, სიგარეტი „MAC" - 40 კოლოფი, სიგარეტი „MANCHESTER" – 10 კოლოფი, სიგარეტი „MANCHESTER" – 9 კოლოფი, სიგარეტი „MANCHESTER" - 170 კოლოფი, სიგარეტი „MAC" - 310 კოლოფი, სიგარეტი „STIX" - 90 კოლოფი, სიგარეტი „M1" - 70 კოლოფი, ჯამში - 640 კოლოფი, სიგარეტი „MANCHESTER" – 10 კოლოფი, სიგარეტი „LEON" - 2 კოლოფი, სიგარეტი „MANCHESTER" 6 -კოლოფი, სიგარეტი „M1" - 3 კოლოფი, ჯამში - 11 კოლოფი, სიგარეტი „MAC" – 15 კოლოფი, სიგარეტი „LEON" - 5 კოლოფი, სიგარეტი „MAC" - 20 კოლოფი, სიგარეტი „MANCHESTER" - 28 კოლოფი, ჯამში - 53 კოლოფი, სიგარეტი „MANCHESTER" - 920 კოლოფი, სიგარეტი „LEON" - 20 კოლოფი, სიგარეტი „M1" – 230 კოლოფი, ჯამში - 1170 კოლოფი, სიგარეტი „RITSA" – 20 კოლოფი, სიგარეტი „MANCHESTER" - 6 კოლოფი, სიგარეტი „LEON" - 21 კოლოფი, სიგარეტი „M1" - 5 კოლოფი, სიგარეტი „MANCHESTER" - 16 კოლოფი, სიგარეტი „MONUS" - 4 კოლოფი, სიგარეტი „RIO" - 1 კოლოფი, სიგარეტი „MAC" - 27 კოლოფი, ჯამში 74 კოლოფი, სიგარეტი „MANCHESTER" - 10 კოლოფი, სიგარეტი „MANCHESTER" - 64 კოლოფი, სიგარეტი „FARBO" - 13 კოლოფი, სიგარეტი „MAC" - 6 კოლოფი, სიგარეტი „STIX" - 5 კოლოფი, სიგარეტი „NZ" - 10 კოლოფი, ჯამში 98 კოლოფი, სიგარეტი „MANCHESTER" – 30 კოლოფი, სიგარეტი „RIO" – 20 კოლოფი, ჯამში - 50 კოლოფი, სიგარეტი „MANCHESTER" – 10 კოლოფი, სიგარეტი „M1" - 10 კოლოფი, ჯამში - 20 კოლოფი, სიგარეტი „MANCHESTER" - 40 კოლოფი, სიგარეტი „MAC" - 3 კოლოფი, ჯამში - 43 კოლოფი, სიგარეტი „MANCHESTER" – 8 კოლოფი, სიგარეტი „LEON" – 8 კოლოფი, სიგარეტი „MAC" – 1 კოლოფი, ჯამში - 17 კოლოფი, სიგარეტი „MANCHESTER" - 49 კოლოფი, სიგარეტი „MAC" - 7 კოლოფი, ჯამში - 56 კოლოფი და თუთუნი - 1.7 კგ, სიგარეტი „MANCHESTER" - 19 კოლოფი, სიგარეტი „STIX" - 10 კოლოფი, სიგარეტი „MAC" - 12 კოლოფი, სიგარეტი „NZ" - 9 კოლოფი, ჯამში - 50 კოლოფი, სიგარეტი „NZ"– 50 კოლოფი, სიგარეტი „MAC" – 10 კოლოფი, ჯამში - 60 კოლოფი, სიგარეტი „MANCHESTER" - 49 კოლოფი, სიგარეტი „MAC" – 20 კოლოფი, სიგარეტი „RIO" – 20 კოლოფი, ჯამში - 40 კოლოფი, სიგარეტი „RIO" - 20 კოლოფი, სიგარეტი „MANCHESTER" - 10 კოლოფი, „M1" – 3 კოლოფი, ჯამში - 33 კოლოფი, სიგარეტი „LEON" - 22 კოლოფი, სიგარეტი „RIO" - 5 კოლოფი, სიგარეტი „M1" – 5 კოლოფი, ჯამში - 32 კოლოფი, სიგარეტი „MANCHESTER" - 10 კოლოფი, სიგარეტი „MANCHESTER" - 49 კოლოფი, სიგარეტი „MANCHESTER" - 10 კოლოფი, ჯამში - 22 კოლოფი, სიგარეტი „MANCHESTER" - 9 კოლოფი, ჯამში - 14 კოლოფი, სიგარეტი „MAC" – 10 კოლოფი, სიგარეტი „M1" – 10 კოლოფი, ჯამში - 20 კოლოფი, სიგარეტი „STIX" – 14 კოლოფი, სიგარეტი „MAC" – 5 კოლოფი, სიგარეტი „M1" – 8 კოლოფი, სიგარეტი „MANCHESTER" – 3 კოლოფი, სიგარეტი „LEON" – 3 კოლოფი, ჯამში 33 კოლოფი და თუთუნი - 0.4 კგ, სიგარეტი „STIX" - 6 კოლოფი, სიგარეტი „MANCHESTER„– 35 კოლოფი, სიგარეტი „MANCHESTER" – 30 კოლოფი, სიგარეტი „MANCHESTER" – 18 კოლოფი, სიგარეტი „MANCHESTER" – 7 კოლოფი, სიგარეტი „MANCHESTER" – 60 კოლოფი,თუთუნი 2.46 კგ, სიგარეტი „MANCHESTER" – 20 კოლოფი, სიგარეტი „MAC" - 2 კოლოფი, ჯამში 22 კოლოფი, სიგარეტი „MANCHESTER" – 11 კოლოფი, სიგარეტი „MAC" - 12 კოლოფი, სიგარეტი „M1" – 12 კოლოფი, ჯამში - 35 კოლოფი, სიგარეტი „MANCHESTER" – 40 კოლოფი, სიგარეტი „MAC" - 20 კოლოფი, სიგარეტი „MANCHESTER" – 20 კოლოფი, ჯამში - 40 კოლოფი, სიგარეტი „MANCHESTER" – 65 კოლოფი, სიგარეტი „MANCHESTER" – 60 კოლოფი, სიგარეტი „MANCHESTER" – 10 კოლოფი, სიგარეტი „MAC" - 46 კოლოფი, ჯამში - 56 კოლოფი, სიგარეტი „RIO" - 20 კოლოფი, სიგარეტი „MANCHESTER" – 32 კოლოფი, სიგარეტი „STIX" - 5 კოლოფი, ჯამში - 57 კოლოფი, სიგარეტი „MAC" – 30 კოლოფი, სიგარეტი „MANCHESTER" – 19 კოლოფი, სიგარეტი „MAC" – 10 კოლოფი, ჯამში - 29 კოლოფი, სიგარეტი „STIX" – 20 კოლოფი, სიგარეტი „LEON" – 10 კოლოფი, სიგარეტი „MANCHESTER" – 1 კოლოფი, ჯამში - 31 კოლოფი, სიგარეტი „MANCHESTER" – 20 კოლოფი, სიგარეტი „LEON" – 11 კოლოფი, ჯამში - 31 კოლოფი, სიგარეტი „MANCHESTER" – 49 კოლოფი, სიგარეტი „MAC" – 17 კოლოფი, ჯამში - 66 კოლოფი, სიგარეტი „MANCHESTER" – 60 კოლოფი, სიგარეტი „MANCHESTER" – 10 კოლოფი, სიგარეტი MAC –„18" კოლოფი, ჯამში - 28 კოლოფი, სიგარეტი „MANCHESTER" – 59 კოლოფი, სიგარეტი „STIX" – 26 კოლოფი, სიგარეტი „MANCHESTER" – 11 კოლოფი, სიგარეტი „LEON" – 2 კოლოფი, სიგარეტი „MAC" – 1 კოლოფი, ჯამში - 40 კოლოფი და თუთუნი 1.2 კგ, სიგარეტი „MAC" - 10 კოლოფი, სიგარეტი „MANCHESTER"- 2 კოლოფი, სიგარეტი „STIX" – 1 კოლოფი, ჯამში - 13 კოლოფი, სიგარეტი „MANCHESTER" – 21 კოლოფი, სიგარეტი „LM" – 7 კოლოფი, სიგარეტი „NZ" – 2 კოლოფი, სიგარეტი „MAC" – 4 კოლოფი, სიგარეტი „CHESTERFILD" – 2 კოლოფი, ჯამში - 36 კოლოფი, სიგარეტი „MANCHESTER" – 2 კოლოფი, სიგარეტი „MAC" – 1 კოლოფი, ჯამში - 3 კოლოფი, სიგარეტი „MANCHESTER" – 5 კოლოფი, სიგარეტი „MAC" – 9 კოლოფი, ჯამში - 14 კოლოფი, სიგარეტი „MANCHESTER" – 12 კოლოფი, სიგარეტი „MANCHESTER" – 25 კოლოფი, სიგარეტი „MAC" – 5 კოლოფი, ჯამში - 30 კოლოფი, თუთუნი 4.6 კგ, სიგარეტი „MANCHESTER" – 20 კოლოფი, სიგარეტი MAC – „14" კოლოფი, ჯამში - 34 კოლოფი, თუთუნი 0.9 კგ, სიგარეტი „MANCHESTER" – 26 კოლოფი, სიგარეტი „MAC" – 8 კოლოფი, სიგარეტი „FLOYD" – 2 კოლოფი, ჯამში - 36 კოლოფი, სიგარეტი „MANCHESTER" – 47 კოლოფი, სიგარეტი „MAC" – 3 კოლოფი, ჯამში - 50 კოლოფი, სიგარეტი „MANCHESTER" – 8 კოლოფი, სიგარეტი „MAC" – 4 კოლოფი, ჯამში - 12 კოლოფი, სიგარეტი „MANCHESTER" – 18 კოლოფი, სიგარეტი „NZ" – 2 კოლოფი, ჯამში - 20 კოლოფი, სიგარეტი „MANCHESTER" – 43 კოლოფი, სიგარეტი „FLOYD" – 8 კოლოფი, ჯამში - 51 კოლოფი, სიგარეტი „MANCHESTER" – 14 კოლოფი, სიგარეტი „MAC" – 5 კოლოფი, ჯამში - 19 კოლოფი, სიგარეტი „MANCHESTER" – 100 კოლოფი, სიგარეტი „MAC" – 10 კოლოფი, ჯამში - 110 კოლოფი, სიგარეტი „MANCHESTER" – 16 კოლოფი, სიგარეტი „MAC" – 14 კოლოფი, ჯამში - 30 კოლოფი, სიგარეტი „MANCHESTER" – 5 კოლოფი, სიგარეტი „MAC" – 290 კოლოფი, სიგარეტი „MANCHESTER" – 750 კოლოფი, ჯამში - 1040 კოლოფი, სიგარეტი „MAC" – 10 კოლოფი, სიგარეტი „MANCHESTER" – 10 კოლოფი, ჯამში - 20 კოლოფი, სიგარეტი 'MANCHESTER" – 12 კოლოფი, სიგარეტი „MAC" – 4 კოლოფი, სიგარეტი „STIX" – 1 კოლოფი, ჯამში - 17 კოლოფი, სიგარეტი „MANCHESTER" – 1020 კოლოფი, სიგარეტი „MAC" – 980 კოლოფი, ჯამში - 2000 კოლოფი, სიგარეტი „MAC" – 7 კოლოფი, სიგარეტი „MANCHESTER" – 42 კოლოფი, სიგარეტი „MAC" – 8 კოლოფი, სიგარეტი „FLOYD" – 4 კოლოფი, ჯამში - 54 კოლოფი. სიგარეტი „MANCHESTER" – 17 კოლოფი, თუთუნი 1.6 კგ, სიგარეტი „MAC" –50 კოლოფი, სიგარეტი „MANCHESTER" – 490 კოლოფი, თუთუნი 2.9 კგ. სიგარეტი „LEON" – 11 კოლოფი, სიგარეტი „MAC" – 12 კოლოფი, სიგარეტი „M1" – 8 კოლოფი, სიგარეტი „STIX" – 3 კოლოფი, ჯამში - 34 კოლოფი, სიგარეტი „MAC" – 11 კოლოფი, სიგარეტი „MANCHESTER" – 3 კოლოფი, ჯამში - 14 კოლოფი, სიგარეტი „MAC" – 5 კოლოფი, სიგარეტი „MANCHESTER" – 2 კოლოფი, ჯამში - 7 კოლოფი, სიგარეტი „MAC" – 5 კოლოფი, სიგარეტი „MANCHESTER" – 8 კოლოფი, ჯამში - 13 კოლოფი. სიგარეტი „ვაით დიამონდი"- 2 კოლოფი, სიგარეტი „MAC" – 20 კოლოფი, სიგარეტი „MANCHESTER" – 4 კოლოფი, ჯამში - 26 კოლოფი, სიგარეტი „MANCHESTER" – 2 კოლოფი, სიგარეტი „MANCHESTER" – 250 კოლოფი, სიგარეტი „MAC" – 170 კოლოფი, ჯამში - 420 კოლოფი, სიგარეტი „MANCHESTER" – 20 კოლოფი, სიგარეტი „MAC" – 10 კოლოფი, ჯამში - 30 კოლოფი, სიგარეტი „MANCHESTER" – 19 კოლოფი, სიგარეტი „MAC" – 30 კოლოფი, სიგარეტი „LEON" – 1 კოლოფი, სიგარეტი „FLOYD" - 2 კოლოფი, ჯამში - 52 კოლოფი, სიგარეტი „MANCHESTER" – 40 კოლოფი, სიგარეტი „MAC" – 4 კოლოფი, ჯამში - 44 კოლოფი, სიგარეტი „MANCHESTER" – 1768 კოლოფი, სიგარეტი „MANCHESTER" – 10 კოლოფი, სიგარეტი „MAC" – 34 კოლოფი, სიგარეტი „ვაით დიამონდი" - 1 კოლოფი, ჯამში - 45 კოლოფი, სიგარეტი „MANCHESTER" – 20 კოლოფი, სიგარეტი „MAC" – 30 კოლოფი, სიგარეტი „KING" - 2 კოლოფი, სიგარეტი „RIO" - 1 კოლოფი, ჯამში - 53 კოლოფი, სიგარეტი „MANCHESTER" – 3 კოლოფი, სიგარეტი „MAC" – 3 კოლოფი, ჯამში - 6 კოლოფი, სიგარეტი „MANCHESTER „– 1 კოლოფი, სიგარეტი „KING" – 2 კოლოფი, ჯამში - 3 კოლოფი, სიგარეტი „M1" – 6 კოლოფი, სიგარეტი „MANCHESTER" – 3 კოლოფი, სიგარეტი „MAC" – 1 კოლოფი, ჯამში - 4 კოლოფი, სიგარეტი „MANCHESTER" – 1კოლოფი, სიგარეტი „MAC" – 1 კოლოფი, ჯამში - 2 კოლოფი, სიგარეტი „MANCHESTER" – 6 კოლოფი, სიგარეტი „MAC" – 5 კოლოფი, სიგარეტი „FARGO" – 1 კოლოფი, ჯამში - 12 კოლოფი, სიგარეტი „MANCHESTER" – 4000 კოლოფი, სიგარეტი „NZ" -7 კოლოფი, სიგარეტი „MAC" – 4 კოლოფი, ჯამში - 11 კოლოფი, სიგარეტი „MANCHESTER" – 20 კოლოფი., სიგარეტი „MANCHESTER" – 5 კოლოფი, სიგარეტი „MAC" – 13 კოლოფი, ჯამში - 18 კოლოფი.

რომლებიც დროებით შენახვის მიზნით განთავსებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ადმინისტრაციულ შენობაში (მის: ქ. ქუთაისი, ჯავახიშვილის ქ. # 5)

4. განემარტოთ დაინტერესებულ პირებს, რომ თუ მათ გააჩნიათ პრეტენზია ზემოაღნიშნული ნაპოვნი ,,საქონლის უპატრონოდ ცნობაზე", რომლის უპატრონოდ გამოცხადებასაც მოითხოვს სსიპ შემოსავლების სამსახური, შეუძლიათ თავიანთი უფლებების შესახებ განაცხადონ ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ.ქუთაისი, კუპრაძის ქ.#11) 3 თვის განმავლობაში დღიდან პუბლიკაციისა;

5. თუ სასამართლოში შემოვა განცხადება ქონებაზე უფლების შესახებ, მაშინ სასამართლო თავისი განჩინებით განუხილველად ტოვებს განცხადებას ქონების უპატრონოდ ცნობის შესახებ და წინადადებით მიმართავს განმცხადებელს, აღძრას აღიარებითი სარჩელი იმ პირის მიმართ, რომელმაც განაცხადა თავისი უფლება ქონებაზე. თუ დანიშნული ვადის გასვლამდე სასამართლოში არ შემოვა განცხადება ქონებაზე უფლების შესახებ, სასამართლო განიხილავს საქმეს და გამოჰკითხავს იმ პირებს, რომელთაც შეუძლიათ ცნობების მიწოდება ქონების კუთვნილების შესახებ, აგრეთვე გამოითხოვს ცნობებს შესაბამისი ორგანოებიდან.

6. განჩინება კერძო საჩივრით არ საჩივრდება.

მოსამართლე **ციცინო კიკვაძე**

საქმე N080210620003491859
№2/489-20

განჩინება
საქართველოს სახელით
საჯარო შეტყობინების შესახებ

5 მარტი 2020 წელი **ქ.ქუთაისი**

ქუთაისის საქალაქო სასამართლო
მოსამართლე ციცინო კიკვაძე

განმცხადებელი - სსიპ შემოსავლების სამსახური;
მოთხოვნის არსი - ქონების უპატრონოდ ცნობა.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 337-341-ე, 284-ე, 285-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. გამოქვეყნდეს საჯარო შეტყობინება (ცნობა) გაზეთში "ახალი თაობა" შემდეგი სახით:

2. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ციცინო კიკვაძის წარმოებაშია სამოქალაქო საქმე (№2/489-20) სსიპ შემოსავლების სამსახურის განცხადებისა გამო, ქონების უპატრონოდ ცნობის თაობაზე.

3. უპატრონოდ საცნობ ქონებას წარმოადგენს:

3.1. აქციზური მარკებით სავალდებულო ნიშანდებას დაქვემდებარებული უაქციზო საქონელი:

1. 250 კოლოფი თამბაქო „MANCHESTER";
2. 2.110 კოლოფი თამბაქო (თამბაქო „M1"-20 კოლოფი, "LEON"- 40 კოლოფი, „MANCHESTER"- 250 კოლოფი);
3. 40 კოლოფი თამბაქო (თამბაქო „CONTINENT" -12 კოლოფი, „ELEGANT"-28 კოლოფი);
4. 40 კოლოფი თამბაქო „MALBORO";
5. 50 კოლოფი თამბაქო „GRAFF";
6. 100 კოლოფი თამბაქო (თამბაქო „MANCHESTER"-80 კოლოფი, „RIO"- 20 კოლოფი)
7. 418 კოლოფი თამბაქო „RIO";
8. 390 კოლოფი თამბაქო „MANCHESTER";
9. 330 კოლოფი თამბაქო „MANCHESTER";
10. 5 კოლოფი თამბაქო „STIX";
11. 450 კოლოფი თამბაქო (თამბაქო „MANCHESTER"- 430 კოლოფი, "LEON" – 20 კოლოფი);
12. 450 კოლოფი თამბაქო "LEON";
13. 330 კოლოფი თამბაქო (თამბაქო „RIO"- 140 კოლოფი, „MANCHESTER"-140, "LEON"-50 კოლოფი);
14. 460 კოლოფი თამბაქო (თამბაქო „MANCHESTER"-430 კოლოდი, "LEON"-30 კოლოფი);
15. 28 კოლოფი თამბაქო „MANCHESTER";
16. 190 კოლოფი თამბაქო „MANCHESTER";
17. 200 კოლოფი თამბაქო „MANCHESTER";
18. 68 კოლოფი თამბაქოს (თამბაქო „MANCHESTER"-29 კოლოფი, „STIX"- 9 კოლოფი, „NZ"-4 კოლოფი, „RIO" -11 კოლოფი, "LEON" – 11 კოლოფი, „M1" – 4 კოლოფი);
19. 99 კოლოფი თამბაქო (თამბაქო „MANCHESTER" – 60 კოლოფი, „RIO" – 39 კოლოფი);
20. 15 კოლოფი თამბაქო „ELEGANT";
21. 347 კოლოფი თამბაქოს (თამბაქო „RIO"- 150 კოლოფი, „MANCHESTER"- 197 კოლოფი);
22. 36 კოლოფი თამბაქო „GT";
23. 431 კოლოფი თამბაქო (თამბაქო „MANCHESTER" - 327 კოლოფი,"LEON"- 54 კოლოფი, „M1"-50 კოლოფი);
24. 83 კოლოფი თამბაქო (თამბაქო „MANCHESTER" -52 კოლოფი, "LEON" – 3 კოლოფი, „NZ"- 4 კოლოფი, „M1"- 5 კოლოფი, "GRAFF" – 2 კოლოფი, „RIO"- 17 კოლოფი)
25. 29 კოლოფი თამბაქო (თამბაქო „RIO"-4 კოლოფი, „NZ" – 8 კოლოფი, „M1"- 1 კოლოფი, „MANCHESTER"- 16 კოლოფი);
26. 50 კოლოფი თამბაქო "LEON";
27. 40 კოლოფი თამბაქო „MANCHESTER";
28. 40 კოლოფი „MANCHESTER";
29. 16 კოლოფი თამბაქო „MANCHESTER";
30. 66 კოლოფი თამბაქო (თამბაქო „MANCHESTER" – 40 კოლოფი, "LEON" – 26 კოლოფი);
31. 358 კოლოფი თამბაქო (თამბაქო„RIO"- 148 კოლოფი, „NZ" – 200 კოლოფი, „MAK"- 10 კოლოფი);
32. 360 კოლოფი თამბაქო „MANCHESTER";
33. 480 კოლოფი თამბაქო (თამბაქო „M1"–100 კოლოფი, „MANCHESTER"- 380 კოლოფი);
34. 430 კოლოფი თამბაქო (თამბაქო „KING" – 100 კოლოფი, „M1"-50 კოლოფი, "GRAFF" – 50 კოლოფი, „MANCHESTER"- 230 კოლოფი);
35. 160 კოლოფი თამბაქო „MANCHESTER";
36. 130 კოლოფი თამბაქო (თამბაქო „MANCHESTER"- 70 კოლოფი, "LEON" – 60 კოლოფი);
37. 310 კოლოფი თამბაქო (თამბაქო „MANCHESTER" – 150 კოლოფი, „MAC"- 160 კოლოფი);
38. 56 კოლოფი თამბაქო (თამბაქო „MANCHESTER" – 22 კოლოფი, „STIX" – 24 კოლოფი, "LEON"- 5 კოლოფი, „M1"-2 კოლოფი, „CREDO"- 2 კოლოფი, „JB"-1 კოლოფი);
39. 130 კოლოფი თამბაქო „MANCHESTER";
40. 300 კოლოფი თამბაქო (თამბაქო „MANCHESTER" -250 კოლოფი, „M1"- 50 კოლოფი);
41. 480 კოლოფი თამბაქო „MANCHESTER";
42. 120 კოლოფი თამბაქო „RIO";
43. 16 კოლოფი თამბაქო „MANCHESTER";
44. 50 კოლოფი თამბაქო (თამბაქო „MAC"- 40 კოლოფი, „MANCHESTER" – 10 კოლოფი);
45. 15 კოლოფი თამბაქოს (თამბაქო „MANCHESTER"- 10 კოლოფი, „M1" – 5 კოლოფი);
46. 90 კოლოფი თამბაქო „MANCHESTER";
47. 80 კოლოფი თამბაქო (თამბაქო „MANCHESTER" – 40 კოლოფი, „M1"- 40 კოლოფი);

რომელიც დროებით შენახვის მიზნით განთავსებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ადმინისტრაციულ შენობაში (მის: ქ. ქუთაისი, ჯავახიშვილის ქ. # 5)

4. განემარტოთ დაინტერესებულ პირებს, რომ თუ მათ გააჩნიათ პრეტენზია ზემოაღნიშნული ნაპოვნი ,,საქონლის უპატრონოდ ცნობაზე", რომლის უპატრონოდ გამოცხადებასაც მოითხოვს სსიპ შემოსავლების სამსახური, შეუძლიათ თავიანთი უფლებების შესახებ განაცხადონ ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ.ქუთაისი, კუპრაძის ქ.#11) 3 თვის განმავლობაში დღიდან პუბლიკაციისა;

5. თუ სასამართლოში შემოვა განცხადება ქონებაზე უფლების შესახებ, მაშინ სასამართლო თავისი განჩინებით განუხილველად ტოვებს განცხადებას ქონების უპატრონოდ ცნობის შესახებ და წინადადებით მიმართავს განმცხადებელს, აღძრას აღიარებითი სარჩელი იმ პირის მიმართ, რომელმაც განაცხადა თავისი უფლება ქონებაზე. თუ დანიშნული ვადის გასვლამდე სასამართლოში არ შემოვა განცხადება ქონებაზე უფლების შესახებ, სასამართლო განიხილავს საქმეს და გამოჰკითხავს იმ პირებს, რომელთაც შეუძლიათ ცნობების მიწოდება ქონების კუთვნილების შესახებ, აგრეთვე გამოითხოვს ცნობებს შესაბამისი ორგანოებიდან.

6. განჩინება კერძო საჩივრით არ საჩივრდება.

მოსამართლე **ციცინო კიკვაძე**

72 წლის მამაკაცი 9 წლის ბავშვთან გარყვნილი ქმედებისთვის დააკავეს

რა მოხდა ხონში

შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, იმერეთში 9 წლის ბავშვთან გარყვნილი ქმედების ბრალდებით 72 წლის კაცი დააკავეს.

– გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 9 ოქტომბერს, ხონის მუნიციპალიტეტში, 2011 წელს დაბადებული ა.ე.-ს მიმართ გარყვნილი ქმედება ჩაიდინა, – წერია უწყების განცხადებაში.

წინასწარი შეცნობით თოთხმეტი წლის ასაკს მიუღწეველი პირის მიმართ ჩადენილ გარყვნილი ქმედების ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 141-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

დანაშაული 8-დან 12 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

კახეთში 22 წლის მამაკაცი მწვადით დაიხრჩო

სიღნაღის მუნიციპალიტეტის, სოფელ ქედელში, საოჯახო ტიპის დაწესებულებაში 22 წლის კაცი გარდაიცვალა. როგორც „პრაიმტაიმს“ ადგილობრივებმა განუცხადეს, მისი დაღუპვის მიზეზი მწვადი გახდა.

– ის ქედელში, საოჯახო ტიპის დაწესებულებაში ცხოვრობდა, ჯანმრთელი იყო, არც კი ცივდებოდა და ასეთი ჯანმრთელი კაცი მწვადმა დაახრჩო. ის 22 წლის იყო. რამდენიმე დღის წინ დაკრძალეს.

კარგი ადამიანი იყო, გულკეთილი და ხალისიანი, – ამბობს ადგილობრივი.

„პრაიმტაიმი“ ქედელის თემის ხელმძღვანელს დაუკავშირდა. ის ამბობს, რომ ღ.ღ. ნამდვილად მწვადის ნაჭრის გადაცდენით დაიღუპა.

– ეს კაცი დაახლოებით ერთი კვირის წინ გარდაიცვალა და ოჯახმა დაკრძალა. მას ფიზიკური ჯანმრთელობის პრობლემა არ ჰქონია.

ძიება დაწყებულია, ჯერჯერობით ექსპერტიზის შედეგებს ველოდებით, – ამბობს გელა ღლიღვაშვილი.

მარტვილის ტაძარში შესაწირი ყუთი გატეხეს და ფული წაიღეს

მარტვილის საკათედრო ტაძარში ქურდობის მორიგი შემთხვევა დაფიქსირდა. მირქმის ტაძრის საკურთხეველში, დედაოებს შესაწირი ყუთი გატეხილი, იქ მოგროვილი თანხა კი წაღებული დახვდათ. დედა სალომეს ინფორმაციით, ქურდობის ფაქტი 11 ოქტომბერს მოხდა.

სასულიერო პირების ინფორმაციით, ყუთი 3 თვეა არ გახსნილა და რამდენი წაიღეს ქურდებმა, მათთვის უცნობია, თუმცა ბოლო პერიოდის საეკლესიო დღესასწაულებიდან გამომდინარე, ვარაუდობენ, რომ თანხა მცირე არ იქნებოდა.

ტაძრის ტერიტორიაზე საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობდა.

პროკურატურამ ზურაბ ნოღაიდელი დაკითხა

„ივერი მელაშვილი თვლის, რომ აბსოლუტურად უდანაშაულოა“

გუშინ, 12 ოქტომბერს, ადვოკატებმა ციხეში მყოფ კარტოგრაფ ივერი მელაშვილს საქმეში არსებული მასალების ნაწილი – რუკები და მოწმეთა ჩვენებები – გააცნეს.

ადვოკატები კიდევ ერთხელ განმარტავენ, რომ ივერი მელაშვილისა და ნატალია ილიჩოვას დაკავების საფუძველი არ არსებობდა და საქმეში, აბსურდული ბრალდებების და ურთიერთგამომრიცხავი ჩვენებების გარდა, კონკრეტული მტკიცებულება მათ წინააღმდეგ არ არსებობს.

– ის თვლის, რომ არის აბსოლუტურად უდანაშაულო და არის მსხვერპლი ან ადამიანთა სრული უმეცრების, რომლებსაც სათანადო ცოდნა და კვალიფიკაცია არ აქვთ და ვერ ხვდებიან, რას ამტკიცებენ, ან, მეორე მხრივ, არის მსხვერპლი მიზანმიმართული პროვოკაციის იმისთვის, რომ სხვა ადამიანებმა ან სხვა ძალებმა ხეირი ნახონ მისი პატიმრობით, – აღნიშნა ივერი მელაშვილის ადვოკატმა გიორგი მშვენიერაძემ.

ადვოკატები „მატროსოვის“ ციხეში სამ საათზე მეტხანს იმყოფებოდნენ. მშვენიერაძემ რუკებზე მუშაობისთვის ციხის ადმინისტრაციას სთხოვა, რომ პატიმართან ცალკე შეხვედრის უფლება ბარიერის გარეშე მისცენ.

– ჩვენი საუბარი გამყოფი შუშის ფარგლებში შედგა და ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე ვისაუბრეთ. ასეთი შეხვედრა ქმნის გარკვეულ დისკომფორტს მასალების დამუშავებისას, განსაკუთრებით კი, რუკებთან მუშაობასთან დაკავშირებით. შევთანხმდით იმაზე, რომ ადმინისტრაციას წერილობით მივმართავთ, ასევე იმაზე, რომ კარანტინის დასრულებამდეც მოგვეცეს მსგავსი შეხვედრების საშუალება.

ბატონი ივერი მზად არის, თუნდაც სამართოვო საკანში იყოს გადაყვანილი იმ მიზნით, რომ სხვა პატიმრებისთვის საფრთხე არ შექმნას. მან ძალიან მნიშვნელოვანი განმარტებები მოგვცა საქმესთან დაკავშირებით, მათ შორის დელიმიტაციის პროცესზე. იმ რისკებზე, რომლებიც ახლავს უსუსურ მცდელობას, თითქოს შეხვედრებში 200.000-იანი რუკები იყო გამოყენებული, მოგვიანებით ვისაუბრებთ, რადგან დეტალები გვაქვს დასაზუსტებელი, – განაცხადა გიორგი მშვენიერაძემ.

– ჩვენთვის ამ ეტაპზე კიდევ უფრო მეტად ცხადი და ნათელია, რომ პროკურატურას, უბრალოდ, სურს, ეს ადამიანი ციხეში ჰყავდეს, – ფიქრობს ივერი მელაშვილის ადვოკატი ედუარდ მარიკაშვილი.

ამასობაში დავითგარეჯის საქმეზე პროკურატურამ ყოფილი პრემიერ-მინისტრი, ზურაბ ნოღაიდელი გამოკითხა.

საქმე ეხება ნოღაიდელის პრემიერობის დროს აზერბაიჯანელი კოლეგისთვის გაგზავნილ ოფიციალურ წერილს, სადაც დავითგარეჯი აზერბაიჯანის ტერიტორიადაა მოხსენიებული.

როგორც „ინტერპრესნისუს“ პროკურატურაში განუცხადეს, ყოფილი პრემიერ-მინისტრის გამოკითხვა გასულ დღეებში შედგა.

ამ დროისთვის უცნობია, რა კითხვები ჰქონდა გამოძიებას ზურაბ ნოღაიდელთან.

„ინტერპრესნიუსი“ ზურაბ ნოღაიდელს დაუკავშირდა, ის გამოკითხვის დეტალებზე არ საუბრობს.

მისი თქმით, პროკურატურაში გამოკითხვაზე იმყოფებოდა და მედიისთვის კომენტარს მალე გააკეთებს.

***

დავითგარეჯის საქმეზე დაკავებული დელიმიტაცია-დემარკაციის კომისიის ყოფილი წევრების საქმეზე ოფიციალურმა ბაქომ პირველი კომენტარი გააკეთა.

აზერბაიჯანის ელჩის მრჩევლის განცხადებით, გამოძიება საქართველოს შიდა იურიდიული საქმეა და მასში აზერბაიჯანი ვერ ჩაერევა:

– აზერბაიჯანული მხარე თავს ვალდებულად არ თვლის სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე მიმდინარე სამართლებრივ პროცესზე რაიმე კომენტარი გააკეთოს, ეს არაკორექტული იქნება, – განაცხადა საქართველოში აზერბაიჯანის ელჩის მრჩეველმა ელდარ ბაირამოვმა.

რაც შეეხება სადავო ტერიტორიებს, დიპლომატიურმა მხარემ განმარტა, რომ აღნიშნულ საკითხზე ოფიციალურმა ბაქომ აზერბაიჯანისა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე გამოხატა პოზიცია, რომელიც თბილისში გაიმართა.

რუსეთში კანონიერი ქურდი როლანდ ჩიკვაიძე მოწამლეს

ომსკის ციხეში, გავლენიანი „კანონიერი ქურდის“, კახა ფარფალიას ბუნდოვანი გარდაცვალების შემდეგ, რუსეთში ასევე ბუნდოვან ვითარებაში კიდევ ერთი ქართველი კანონიერი ქურდი, როლანდ ჩიკვაიძე გარდაიცვალა.

65 წლის ჩიკვაიძეს კრიმინალურ წრეებში „როლანდ ქუთაისკის“ სახელით იცნობდნენ.

ის 10 ოქტომბერს, პეტერბურგის საავადმყოფოში მწვავე სეფსისით შეიყვანეს, რომელიც მომწამლავი ინექციით იყო გამოწვეული. ექიმებმა ჩიკვაიძის გადარჩენა ვერ შეძლეს.

გარდაცვლილის ახლობლები არ გამორიცხავენ, რომ ქართველი კანონიერი ქურდი ინექციის გზით მოწამლეს.

ცნობილია, რომ როლანდ ჩიკვაიძეს მწვავე კონფლიქტი ჰქონდა ე.წ. „დედ ჰასანის“ კლანთან. გარდა ამისა, მას ქურდულ სამყაროში პირადი მტრებიც ჰყავდა.

ჩიკვაიძე კანონიერი ქურდის, ბაიკო ქუთათელაძის უახლოეს გარემოცვად მიიჩნეოდა. ჯერ კიდევ 1999 წელს, ერთ-ერთ შეხვედრაზე როლანდ ჩიკვაიძემ ცეცხლსასროლი იარაღით ხერხემალში დაჭრა კრიმინალური ავტორიტეტი დავით სებისკვერაძე, რომელსაც ბაიკო ქუთათელაძესთან დიდხნიანი მტრობა ჰქონდა. მას შემდეგ სებისკვერაძე ეტლს არის მიჯაჭვული.

ოლონეთში 44 წლის ქუთაისელი ვანო სანებლიძე მოკლეს

პოლონეთში, დაპირისპირებისა და ჩხუბის დროს საქართველოს მოქალაქე დაიღუპა. დაღუპულია 44 წლის წლის მამაკაცი, რომელიც ქალაქ ოსიაში ერთ-ერთ ქარხანაში მუშაობდა.

პოლონეთში მყოფი ქართველები ყვებიან, რომ ვანო სანებლიძეს უთანხმოება მის ხელმძღვანელთან ანაზღაურების გამო მოუვიდა. დაპირისპირება ერთ-ერთ ბენზინგასამართ სადგურზე, ხელჩართულ ჩხუბში გადაიზარდა, რომლის დროსაც საქართველოს მოქალაქე დაეცა და ადგილზე გარდაიცვალა.

– ქუთაისელი ყოფილა ეს კაცი, დამსაქმებელი ყოფილა ვიღაც უკრაინელი თუ პოლონელი, უფროსი. კიდევ ერთი პიროვნება ყოფილა ამასთან, ქართველი. დაურტყია ხელი, დაცემულა, კისერში გადატეხილა და გარდაცვლილა, – უთხრეს მთავარს.

ადგილობრივი საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, დამნაშავე უკვე დაკავებულია, საგამოძიებო მოქმედებები კი შემთხვევის ადგილზე რამდენიმე საათი მიმდინარეობდა.

იყალთოში მამაკაცს მანქანა დაეჯახა

გუშინ, 12 ოქტომბერს, თელავის მუნიციპალიტეტში, ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად, ქვეითად მოსიარულე დაშავდა. შემთხვევა სოფელ იყალთოში იმ დროს მოხდა, როდესაც 40 წლამდე კაცი გზაზე გადასვლას ცდილობდა. მამაკაცმა სხეულის მრავლობითი დაზიანებები მიიღო.

დაშავებული სასწრაფო დახმარების ჯგუფმა თელავის რეფერალურ საავადმყოფოში გადაიყვანა.

მას ტრავმული შოკი და მოტეხილობები აღენიშნებოდა.

შემთხვევის ადგილზე პოლიცია იყო მობილიზებული.

ქუთაისის ოპერის თეატრი 52-ე სეზონს ხსნის

14 ოქტომბერს ქუთაისის ოპერის თეატრი 52-ე თეატრალურ სეზონს გახსნის.

„ქართული საოპერო მუსიკის კონცერტი“ – ასე ეწოდება საღამოს, რომელიც მესხიშვილის თეატრის ეზოში, ღია ცის ქვეშ გაიმართება. მწვანე თეატრის სცენაზე კონცერტი ქუთაისის ოპერის თეატრის სოლისტების, რევაზ ჯავახიშვილის დირიჟორობით, გუნდის და ორკესტრის მონაწილეობით გაიმართება. ღონისძიება ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე რეკომენდაციების სრული დაცვით ჩატარდება.

გელათის უნიკალური მოხატულობა ცვივა

გელათში უნიკალური მოხატულობა ყოველდღიურად ცვივა. ინფორმაცია და ფოტოები თორნიკე ბარათაშვილმა გაავრცელა:

– კედლებიდან ყოველდღიურად ცვივა ფერწერის დეტალები და ამ გზით ნადგურდება გელათის უნიკალური მოხატულობა.

სურათზე ასახულია კედლებიდან ხარაჩოზე ჩამოყრილი ბათქაში, რომელიც საბოლოოდ ნარჩენებთან ერთად გააქვთ ტაძრიდან... დუმს ბიუროკრატია. მასთან დაახლოებული წრეები. დუმან სპეციალისტები. დუმს ყველა, ვინც ბაგრატის რეაბილიტაციზე ცოფებს ყრიდა. ეკლესია, აკადემიური წრეები, სამოქალაქო საზოგადოება, პოლიტიკური სპექტრი, მედიის უდიდესი ნაწილი. აქტიურობს რამდენიმე ადამიანი, რაც გელათის გადასარჩენად არ კმარა, რადგან მონასტერი ისევ იმათ ხელშია, ვინც აქამდე მიიყვანა!

ოთარ ტატიშვილმა 65 წლის იუბილე კონცერტით აღნიშნა

კომპოზიტორმა ოთარ ტატიშვილმა 65 წლის იუბილე კონცერტით აღნიშნა. ფესტივალზე „აღდგომიდან ამაღლებამდე“ ერთი დღე სწორედ კომპოზიტორის შემოქმედებას მიეძღვნა და არტოს ბაღში შეკრებილმა მსმენელმა ხელოვანის ჯადოსნურ მუსიკალურ სამყაროში იმოგზაურა.

ოთარ ტატიშვილის საიუბილეო კონცერტში მონაწილეობდნენ პიანისტები დეა აბაკელია, ვიქტორია ვაგნერი-სურმავა, ოთარ ტატიშვილი, ასლან ჩიქოვანი, ფლეიტისტი ნანუკა გოლიაძე და ვოკალისტები მარიკო ებრალიძე და მზია ჭილაძე.

საიუბილეო საღამოზე აჟღერდა ყველა ის ნაწარმოები, რომელიც მსმენელს განსაკუთრებულად უყვარს.

მწერლები და პოეტები პოლიტიკაში მოსვლას ცდილობენ

მწერლები და პოეტები პოლიტიკაში მოსვლას აქტიურად ცდილობენ.

პოეტმა თემო ჭახნაკიამ იმ შემოქმედების სია წარმოადგინა, რომლებიც წელს სხვადასხვა პარტიით პარლამენტში მოსახვედრად იბრძვიან:

– ზოგადად რას ფიქრობთ, მწერლის პოლიტიკაში წასვლაზე?

ქართველი ავტორები პოლიტიკაში 2020: გენრი დოლიძე, მწერალი, პარტია „მოქალაქეები“ ბათუმის მაჟორიტარად, გიორგი გაბაიძე წერს ლექსებს, პარტია „მოქალაქეები“, მთიანი აჭარის'მაჟორიტარად, ნიკა ჩერქეზიშვილი წერს ლექსებს, პარტია „ლელო“ ნაძალადევის მაჟორიტარად, ლაშა მარგიანი წერს ლექსებს, ლელო, საარჩევნო სიის 121-ე ნომერი, როსტომ ჩხეიძე მწერალი, პარტია „ნაციონალური მოძრაობა“, საარჩევნო სიის 25-ე ნომერი, ხათუნა გელაშვილი წერს ლექსებს, პარტია „თავისუფალი საქართველო“, ხაშურის მაჟორიტარად. მისი ერთ-ერთი კონკურენტია როსტომ ჩხეიძის და ნატო ჩხეიძე, ნაციონალური მოძრაობიდან. მაია ხოფერია წერს ლექსებს, „ლეიბორისტული პარტია“, სიის მე-12 ნომერი, დალი ყარაულაშვილი წერს ლექსებს, „ლეიბორისტული პარტია, სიის 36-ე ნომერი, ლადო კახაძე წერს ლექსებს, პარტია „ქართული ოცნება“, სიის 33-ე ნომერი, გიორგი ჩაკვეტაძე წერს ლექსებს, პარტია „ქართული ოცნება“, სიის 66-ე ნომერი.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ევროკავშირი: „ლუკაშენკოს ლეგიტიმაცია არ გააჩნია“

ევროკავშირის საბჭომ ბელარუსში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით დასკვნა მიიღო, სადაც აღნიშნულია, რომ 9 აგვისტოს ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნები არც თავისუფალი იყო და არც სამართლიანი და ალექსანდრე ლუკაშენკოს დემოკრატიული ლეგიტიმაცია არ გააჩნია.

– საბჭო ადასტურებს, რომ ბელარუსში 9 აგვისტოს ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნები არც თავისუფალი იყო და არც სამართლიანი და ალექსანდრე ლუკაშენკოს დემოკრატიული ლეგიტიმაცია არ გააჩნია. საბჭო ასევე ადასტურებს მის მხარდაჭერას ბელარუსის სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის მიმართ და ხაზს უსვამს ბელარუსი ხალხის დემოკრატიულ უფლებას, აირჩიოს პრეზიდენტი ახალი, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების გზით, გარე ძალების ჩარევის გარეშე, – აღნიშნულია განცხადებაში.

დოკუმენტში ასევე აღნიშნულია, რომ ევროკავშირის საბჭო მკაცრად გმობს ბელარუსის ხელისუფლების მიერ მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ გამოჩენილ ძალადობას და ხელისუფლებას თვითნებურად დაკავებული ადამიანების, მათ შორის პოლიტიკური პატიმრების, გათავისუფლებისკენ მოუწოდებს.

– ამ ფონზე გვსურს, გავიხსენოთ შემზღუდველი ზომები, რომლებიც გაყალბებული არჩევნების ჩატარებასა და მშვიდობიანი საპროტესტო აქციების დარბევაზე პასუხისმგებელი 40 პირის წინააღმდეგ დაწესდა და განვაცხადოთ ევროკავშირის მზადყოფნა, ორგანიზაციებისა და მაღალჩინოსნების, მათ შორის ალექსანდრე ლუკაშენკოს, წინააღმდეგ დამატებითი შემზღუდველი ზომების მიღებასთან დაკავშირებით, – აღნიშნულია დასკვნაში.

დოკუმენტში განმარტებულია, რომ ევროკავშირი შეამცირებს ორმხრივ თანამშრომლობას ბელარუსის ხელისუფლებასთან ცენტრალურ დონეზე, გაზრდის მის მხარდაჭერას ბელარუსი ხალხისა და სამოქალაქო საზოგადოების მიმართ და, შესაბამისად, გადახედავს ორმხრივ ფინანსურ დახმარებას.

– ამის შესაბამისად, ევროკავშირმა დაუყოვნებლივ გამოყო დამატებითი ფინანსური რესურსები ძალადობის მსხვერპლებისა, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და დამოუკიდებელი მედიისთვის, – აღნიშნულია დასკვნაში.

ევროკავშირი მოუწოდებს ბელარუსის ხელისუფლებას, ჩაერთოს ინკლუზიურ ეროვნულ დიალოგში.

ევროკავშირის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები გუშინ, 12 ოქტომბერს, ლუქსემბურგში შეიკრიბნენ და ბელარუსში არსებულ მდგომარეობაზე იმსჯელეს.

ყველაზე გრძელფეხებიანმა გოგონამ ყოველდღიურ სირთულეებზე ისაუბრა

მსოფლიოში ყველაზე გრძელი ფეხების მქონე ტეხასის შტატის ქალაქ ოსტინის მკვიდრი გოგონა 2021 წლის გენესის რეკორდების წიგნში მოხვდა და საკუთარ ყოველდღიურ სირთულეებზე ისაუბრა.

17 წლის რეკორდსმენ მაკი კარინს მსოფლიოს ყველა ქალსა და მოზარდ გოგონას შორის, ყველაზე გრძელი ფეხები აქვს. მისი მარცხენა ფეხის სიგრძე 135,5 სანტიმეტრია, ხოლო მარჯვენა – 134,5 სანტიმეტრი.

– ჩემი ფეხების გამო არასოდეს ვქცეულვარ დაცინვის ობიექტად... დამცინოდნენ მხოლოდ იმის გამო, რომ სხვებზე მაღალი ვიყავი, – აცხადებს გოგონა, – უფროს კლასებში ამის გამო აღარ ვნერვიულობდი, აღარ მადარდებდა, ჩემზე ვინ რას ამბობდა.

208 სანტიმეტრი სიმაღლის კარინი მოუწოდებს მაღალ ქალებსა და გოგონებს, საკუთარი სიმაღლე ღვთიურ საჩუქრად მიიღონ.

ის ყოველდღიურ სირთულეებს აწყდება, მას უჭირს კარის ჭრილში გავლა, მანქანაში ჩაჯდომა, თავისი ზომის სამოსის შერჩევა. ამ ყოველივეს მიუხედავად, მისი გრძელი ფეხები თანაკლასელებთან ფრენბურთის თამაშში ეხმარება. საკუთარი უჩვეულო გარეგნობის წყალობით, მან ვიდეოსერვის ტიკტოკში საკმაოდ დიდი პოპულარობა მოიპოვა.

თევზმა ფუგუმ გველთევზა გაგუდა

შხამიანი თევზი ფუგუ გველთევზას პირში, რომელიც მის შეჭმას შეეცადა, გაიბერა და მოკლა.

წყალქვეშა ცურვის ინსტრუქტორი, 39 წლის ტიმ მაიერი მეუღლესთან და თავის ორ შვილთან ერთად კუნძულ კუკის წყნარი ოკეანის სანაპიროზე სეირნობდა. მოულოდნელად ის მეტრნახევარი სიგრძის მკვდარ გველთევზას გადაეწყდა, რომლის ყბებში თევზი ფუგუ იყო გაჭედილი.

– თავიდან ფარფლი გვეგონა, რომელიც დინებამ ნაპირზე გამორიყა, მაგრამ, როდესაც ახლოს მივედით, მივხვდით, რომ ეს გველთევზა იყო, – განაცხადა მამაკაცმა.

მაიერმა ნანახის თაობაზე ადგილობრივ ზღვის ბიოლოგ კირბი მორჯონს აცნობა. მეცნიერმა ივარაუდა, რომ მშიერმა გველთევზამ თევზი ფუგუს შეჭმა გადაწყვიტა, მაგრამ მისი შეშინებული მსხვერპლი პირდაპირ მის პირში გაიბერა და ის გაიგუდა. მორჯონის აღიარებით, მას აქამდე მსგავსი არაფერი უნახავს.

ილჰამ ალიევი: „აზერბაიჯანის არმიამ სომხების სპეცრაზმის დიდი ჯგუფი გაანეიტრალა“

აზერბაიჯანის არმიამ სომხების სპეცრაზმის დიდი ჯგუფი გაანეიტრალა, რომელსაც 11 ოქტომბერს ღამით გადრუთის ხელახლა დაპყრობა სურდა.

ამის შესახებ აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა განაცხადა.

– თუმცა, სტრატეგიული თვალსაზრისით, ამას სომხეთისთვის დიდი მნიშვნელობა არ აქვს. ისინი ასეთ ნაბიჯებს უბრალოდ იქ სელფის გადასაღებად ან იმისთვის დგამენ, რომ თავიანთ მოსახლეობას ინფორმაცია მიაწოდონ. აზერბაიჯანის არმიამ დიდი ჯგუფი გაანადგურა. სომხების მხარეს წუხელ დაღუპულები ფაშინიანის უპასუხისმგებლო და მტაცებლური პოლიტიკის მსხვერპლნი არიან, – აღნიშნა ილჰამ ალიევმა.

მთიან ყარაბაღში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმება, რომელსაც სომხეთისა და აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრებმა მოსკოვში მიაღწიეს, 10 ოქტომბრის 12:00 საათიდან მოქმედებს, თუმცა ცეცხლის შეწყვეტის გამოცხადებიდან რამდენიმე საათში მხარეებმა მის დარღვევაში ერთმანეთის დადანაშაულება დაიწყეს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ოთხი უსახლკარო უცნობის წყალობით გამდიდრდა



საფრანგეთის ქალაქ ბრესტში ოთხმა უსახლკარო მამაკაცმა ჯეკპოტი იმ ლატარიის ბილეთის წყალობით მოხსნა, რომელიც მათ უცნობმა პიროვნებამ აჩუქა.

ოთხი, დაახლოებით 30 წლის ლატაკი მამაკაცი იმ მაღაზიის გვერდით მათხოვრობდა, სადაც ლატარიის ბილეთები იყიდებოდა. მაღაზიიდან გამოსული ერთ-ერთი მყიდველი მათთან მივიდა და შეძენილი ერთევროიანი მომენტალური ლატარიის ბილეთი მისცა.

უსახლკაროებმა ბილეთზე დამცავი ფენა გადაფხიკეს და აღმოაჩინეს, რომ 50 ათასი ევრო მოიგეს. მათ მოგება თანაბრად გაიყვეს.

– ისინი გაოგნებულები, მაგრამ ამავე დროს უზომოდ გახარებულები იყვნენ, – განაცხადა ლატარიის წარმომადგენელმა და იქვე დაამატა, რომ, როგორც ჩანს, ოთხეულს მაშინვე გაუჩნდა გეგმა, თუ როგორ დახარჯონ სწრაფად მოგებული თანხა.

მოამზადა
კახა ხატიაშვილმა

11 წლის ბიჭმა სკოლის ავტობუსი გაიტაცა

ამერიკის ლუიზიანას შტატის ქალაქ ბატონ-რუჟში 11 წლის ბიჭმა სკოლის ავტობუსი გაიტაცა და დევნის შემდეგ ის პოლიციამ დაიკავა.

ინციდენტი 11 ოქტომბერს, კვირა დილას მოხდა. წინასწარი ინფორმაციით, ბავშვმა ფარულად შეაღწია ავტობუსში და მისი ამუშავება შეძლო. პოლიციელების ნახევარსაათიანი დევნის შემდეგ, ის მანქანით გაზსადგენს და ხეს შეეჯახა. პოლიციელებმა ავტობუსს ალყა შემოარტყეს. მოზარდი გამოიყვანეს და ხელბორკილები დაადეს.

ამ დროისთვის ბიჭი არასრულწლოვან დამნაშავეთა ცენტრში იმყოფება და მას რამდენიმე ბრალდება აქვს წაყენებული, მათ შორის ავტომობილის გატაცების, მატერიალური ზარალის მიყენების და ძალადობა დამამძიმებელ გარემოებებში.

12 წლის ბიჭმა სახლში მოქმედი ბირთვული რეაქტორი ააგო

ამერიკის ტენესის შტატის ქალაქ მემფისში მოზარდმა საკუთარ სახლში დამოუკიდებლად შექმნა მოქმედი ბირთვული რეაქტორი და გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა.

12 წლის ჯექსონ ოსვალტმა საკუთარი ბირთვული რეაქტორის აგება წინა რეკორდსმენის ტეილორ უილსონის მიღწევის შთაბეჭდილების ქვეშ მყოფმა დაიწყო. უილსონმა ბირთვული რეაქტორის შექმნა 14 წლის ასაკში შეძლო. ამჟამად კი ოსვალტია მსოფლიოში ყველაზე ახალგაზრდა ბირთვული რეაქტორის შემქმნელი. მოზარდი ამტკიცებს, რომ ყველაფერი დამოუკიდებლად მოახერხა. მან განმარტა, რომ პროექტზე დაახლოებით ორი წელი მუშაობდა და გზადაგზა ეჯახებოდა პრობლემებს, რომლებიც მის მუშაობას ამუხრუჭებდა.

– მეტად რთული პროექტი იყო. ვიტყოდი, რომ ურთულესი იყო მის ჰაერგაუმტარი იზოლაციის შექმნა. დაახლოებით ნახევარი წელი მოვანდომე მის შექმნას, – განაცხადა ოსვალტმა.

ზღვის სპილოს ქალაქის ქუჩაში გამოჩენამ ხალხში პანიკა გამოიწვია

ჩილეს პროვინცია აისენის ქალაქ პუერტო-სისნესში ზღვის სპილოს ქუჩაში გამოჩენამ პანიკა დათესა მოსახლეობაში. თვითმხილველის მიერ გადაღებული ამის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ბრიტანულმა ტაბლოიდმა გამოაქვეყნა.

უზარმაზარი ზღვის ცხოველი ქალაქის ქუჩებში ორშაბათს, 5 ოქტომბერს გამოჩნდა. გზააბნეული ცხოველის დასახმარებლად ადგილზე პოლიციელები და ჩილეს სამხედრო-საზღვაო ფლოტის წარმომადგენლები მივიდნენ. მათ ქუჩის სიგრძეზე ბრეზენტი გაჭიმეს და მისი დახმარებით განდევნეს ზღვის სპილო იმ ადგილისკენ, რომელიც მის ბუნებრივ საარსებო გარემოს წარმოადგენს.

ადგილობრივი რადიოსადგურის თანამშრომელმა მანუელ ნოვოამ ვიდეოზე აღბეჭდა ეს ყოველივე. კადრებში ჩანს, თუ როგორ ჭიმავს ხალხი ბრეზენტს ქუჩის ორივე მხარეს და ზღვის სპილოს ზღვაში დაბრუნებაში ეხმარებიან. საბოლოო ჯამში, ცხოველმა მშვიდობიანად მიაღწია წყლამდე და გაცურა.

მამაკაცმა თავის მომკვდარუნებით დათვისგან თავი გადაირჩინა

კანადის პროვინცია ალბერტაში მდებარე კანანასკის პარკში ტურისტმა თავი მოიმკვდარუნა და გააფთრებული გრიზლისგან დაგლეჯას გადაურჩა.

61 წლის გამოცდილმა ტურისტმა, რომელიც პარკის სამხრეთ ნაწილში სეირნობდა, ბილიკიდან გადაუხვია და მოულოდნელად ძუ გრიზლის და მისი ბელების პირისპირ აღმოჩნდა.

– რაღაც მომენტში თვალის კიდით შევნიშნე რაღაც ყავისფერი. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ეს გაქცეული ბელი იყო, ხოლო მისგან სამ მეტრში მისი დედა იმყოფებოდა, – განაცხადა მტაცებელი ცხოველების სპეციალისტმა პოლ ფრეიმ.

დედა დათვმა მას თათი ჩასცხო და მამაკაცი მიწაზე დაეცა. მან ხელი წინ გასწია და ცხოველმა მას იდაყვზე უკბინა. ტურისტმა თავი მოიმკვდარუნა და დაახლოებით ათი წუთი გაუნძრევლად იწვა. დათვმა თავი ანება და გაეცალა.

მტაცებელთან შეხვედრის შემდეგ ტურისტმა მხოლოდ იდაყვზე მიიღო დაზიანება. მან დამოუკიდებლად მოახერხა ავტომობილამდე მიღწევა, რომელიც ნახევარი საათის სავალზე ჰყავდა დატოვებული და საავადმყოფოში გაემგზავრა.

მალამო მენტორი პირველი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ტრადიციული გამოცდილების მქონე ბუნებრივი სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

მალამო მენტორი პირველი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, პოდაგრა, სახსრებში მარილების დაგროვება, სახსრების ანთება, ნიკრისის ქარი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება. მკურნალობისას თანდათან მცირდება ტკივილები წელზე, სახსრებზე. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში დღეში ორჯერ.

მალამო მენტორი ხუთი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ტრადიციული გამოცდილების მქონე ბუნებრივი სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

მალამო მენტორი ხუთი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: ქუსლების (გარქოვანება და ნახეთქები), ბუასილის კვანძების, ფსორიაზის სამკურნალოდ. მალამო გამოყენების შემდეგ ხსნის დაჭიმულობას წელიდან მუხლამდე, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას კაპილარებში, ხსნის სიმძიმეს, წვას. მკურნალობისას ქრება ტკივილები. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში დღეში ორჯერ.

☎ 599-73-48-21; 598-73-48-21.

დუდუ დადიანის ფინალში ქუთაისი და რუსთავი ითამაშებენ

დუდუ დადიანის მემორიალის ფინალში ერთმანეთს რეგიონის კლუბები: რუსთავი და ქუთაისი შეხვდებიან. ოლიმპიურ სასახლეში გამართულ ნახევარფინალურ მატჩებში ორივე გუნდმა დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა.

ჯაჯტუსი-ქუთაისი 86:97
(18:23, 24:25, 20:33, 24:16)

ქუთაისი აქამდე სამჯერ იყო დუდუ დადიანის მემორიალის ფინალში და მხოლოდ ერთხელ იმარჯვა. 2011 წელს იმერულმა კლუბმა შსს– მოუგო და ტიტულს დაეპატრონა, ხოლო 2015 და 2016 წლებში ქუთაისელებმა შესაბამისად ყაზახურ ბარსისთან და თბილისის დინამოსთან წააგეს.

კაკტუსთან მატჩი კოტე ტუღუშის გაწვრთნილმა ქუთაისელებმა დამაჯერებლად დაასრულეს, პირველი ნახევარი კი შედარებით თანაბარი გახლდათ. იმერულმა კლუბმა პირველი პერიოდი 23:18 მოიგო, დიდი შესვენების შემდეგ კი 6 ქულით დაწინაურდა, თუმცა კაკტუსის მოთამაშეები არ ნებდებოდნენ და ამერიკელი ლეგიონერების ძალისხმევით შანსს ინარჩუნებდნენ. მესამე პერიოდში თბილისელები 3 ქულით – 52:55 მიუახლოვდნენ მეტოქეს, რაც მათი მაქსიმუმი აღმოჩნდა. პერიოდის ბოლომდე ქუთაისელებმა ლიდერობა 19 ქულამდე გაზარდეს, რაც აკაკი დვალიშვილის, ლუკ მოიერის, გიორგი ბარბაქაძის და ილია ლონდარიძის შედეგიანი თამაშით მოხერხდა.

ბოლო პერიოდში იმერული კლუბის ლიდერობამ 20 ქულას გადააჭარბა და მატჩის ბედიც გაირკვა. კაკტუსელებმა თამაშის ბოლომდე მხოლოდ ანგარიშის შემცირება მოახერხეს, ქუთაისი კი დამაჯერებლად მივიდა გამარჯვებამდე და ფინალში გავიდა.

26 ქულით ქუთაისელებს აკაკი დვალიშვილმა ულიდერა. 18-18 ქულა მოიერმა და ბარბაქაძემ მიითვალეს, ხოლო 14 ქულა ილია ლონდარიძის ანგარიშზე დაგროვდა. კაკტუსელთა შორის კვლავ საუკეთესო იყო სამაი ჰეინს-ჯონსი, რომელმაც ამჯერად 23 ქულა მიითვალა. 14 ქულა ჰქონდა დარიუს უილიამსს.

ხუსთავი-ოლიმპი 99:64
(30:11, 24:15, 20:22, 25:16)

რუსთაველებმა ტურნირზე საუკეთესო შეხვედრა ჩაატარეს. ანატოლი ბოისას გაწვრთნილმა ქვემოქართლელებმა თამაში გამორჩეული შედეგიანობით დაიწყეს და ჯერ 10:2 დაწინაურდნენ, შემდეგ ლიდერობა 22:6 გაიმყარეს, პირველი პერიოდი კი 30:11 მოიგეს.

ლეგიონერების გარეშე მოთამაშე ოლიმპელებს არაფერი გამოსდიოდათ, 3 ამერიკელით გაძლიერებულ რუსთაველებს კი პირიქით, სწრაფი თამაშიც მისდიოდათ და რაც მთავარია, შედეგიანობითაც გამოირჩეოდნენ. მეორე ათწუთეული რუსთავმა 24:15 მოიგო და გამარჯვება, ფაქტობრივად, დიდი შესვენებისთვის გაინაღდა – 28 ქულით ლიდერობდა.

მეორე ნახევარში არაფერი შეცვლილა. ოლიმპს თამაშის გამოსასწორებლად რესურსი არ ეყო და შეხვედრაც ქვემოქართლელთა იოლი გამარჯვებით დასრულდა.

რუსთაველთაგან 19 ქულით ბომბარდირი მაიკლ უაითი გახდა. რევაზ ჩაჩანიძემ 16, ხოლო ჯილან ვაშინგტონმა 15 ქულა მოაგროვა. ოლიმპში 20 ქულით საუკეთესო იყო ოთარ ფხაკაძე, 18 ქულა ლევან გოგიჩაიშვილმა მიითვალა, ხოლო ლუკა კალატოზიშვილის ანგარიშზე 17 ქულა და 10 მოხსნა დაგროვდა.

აქვე ისტორიული ფაქტიც: დუდუ დადიანის მემორიალი ყველაზე მეტჯერ, 6-ჯერ რუსთაველებს აქვთ მოგებული – 2006, 2007, 2008, 2009, 2010 და 2014 წლებში.

ლეიკერსი ბოსტონს დაეწია

ამერიკის ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის სეზონი დასრულებულია. ფინალის მეექვსე შეხვედრაში ლოს ანჯელეს ლეიკერსმა 106:93 გადასძალა მაიამი ჰიტი, სერია 4:2 მოიგო და ისტორიაში მეჩვიდმეტედ გახდა ნბა-ს ტრიუმფატორი.

ამით ლეიკერსი ბოსტონს დაეწია. აქედან პირველი ხუთი ჩემპიონობა გუნდმა მაშინ მოიპოვა, როცა მინეაპოლისში იყო ბაზირებული, 12-ჯერ კი უკვე ანგელოსთა ქალაქის სახელით იპირველა.

გამარჯვებულთა შორის საუკეთესო ლებრონ ჯეიმსი იყო. „მეფემ“ აღნიშნულ მატჩში სამმაგი დუბლი მიითვალა – 28 ქულა, 14 მოხსნა, 10 პასი და ფინალური სერიის მვპ-ის წოდებაც მიიღო.

ლებრონი ერთადერთი კალათბურთელია ნბა-ს ისტორიის მანძილზე, რომელმაც საჩემპიონო ტიტული 3 კლუბში (მაიამი, კლივლენდი, ლეიკერსი) მოიგო და ფლეი ოფში საშუალოდ 25+ ქულას აგროვებდა.

ჯეიმსს ნბა-ს ფინალებში უკვე 11 სამმაგი დუბლი აქვს გაკეთებული. ზუსტად იმდენი, რამდენიც მის უახლოეს 2 კალათბურთელს – მეჯიქ ჯონსონი (8), დეიმონდ გრინი (3).

ლებრონს ნბა-ს ფლეი ოფში 260 მატჩი მოუგროვდა და პირველ ადგილზე გადაინაცვლა, აჯობა რა დერეკ ფიშერს (259).

ლებრონ ჯეიმსი ყველაზე ასაკოვანი კალათბურთელია, რომელმაც ნბა-ს ფინალში სამმაგი დუბლი გაიფორმა. ლებრონმა (35 წელი და 286 დღე) გაუსწრო ელჯინ ბეილორს (35 წელი და 225 დღე).

ლებრონი ერთადერთი კალათბურთელია ნბა-ს ისტორიაში, რომელმაც ფინალის ერთ სერიაში 150 ქულა, 50 მოხსნა და 50 პასი გააკეთა.

რეკორდსმენი ნადალი და პოლონეთის გმირი შვიატეკი

ესპანელმა რაფა ნადალმა როლან გაროსის ფინალში, 3 სეტში უიოლესად, 6:0, 6:2, 7:5 მოუგო ნოვაკ ჯოკოვიჩს და საფრანგეთის ღია პირველობის გამარჯვებული მეცამეტედ გახდა.

რაფას ამ ტურნირზე 15-ჯერ აქვს ნათამაშევი და სულ 2 მარცხი განიცადა, ნოვაკთან მოგება კი მე-100 იყო. ჯამში მისი სლემტიტულების ოდენობა 20 გახდა, რითაც როჯერ ფედერერს გაუტოლდა.

ახლა რაფას სარეკორდო შედეგებზეც ვთქვათ:

საფრანგეთში 13 ტიტულიდან 4 ესპანელს სეტის დაუთმობლად აქვს მოგებული;

დიდი მუზარადის ტურნირებზე პირველსა და ჯერჯერობით ბოლო გამარჯვებას შორის სხვაობა 15 წელია;

30 წლის ასაკს გადაცილების შემდეგ კიდევ 6 სლემტიტული მოიგო;

თიხნარზე მოგებული მატჩები – 92%;

თიხნარზე ზედიზედ მოგებული 81 მატჩი;

რაფა ნადალმა 10 და მეტჯერ მოიგო 3 დიდი ტურნირი: როლან გაროსი (13), მონტე-კარლო (11) და ბარსელონა (11);

ესპანელს 21-ჯერ ჰყავს დამარცხებული მსოფლიოს მოქმედი პირველი ჩოგნები;

ნადალის ამ გამარჯვებას როჯერ ფედერერი სოციალურ ქსელში გამოეხმაურა და ესპანელს პირადად მიულოცა.

როჯერ ფედერერი:

– ჩემს მეგობარ რაფას, როგორც ადამიანს და ჩემპიონს ყოველთვის დიდ პატივს ვცემდი. წლების განმავლობაში ის ჩემი უდიდესი მეტოქეა. ვფიქრობ, ერთმანეთს ვუბიძგებთ იმისკენ, რომ უკეთესი მოთამაშეები გავხდეთ. ამიტომაც ჩემთვის დიდი პატივია დიდი სლემის ტურნირზე მეოცე გამარჯვება მივულოცო. განსაკუთრებით საკვირველი ის არის, რომ მან როლან გაროსი წარმოუდგენლად ბევრჯერ – მეცამეტედ მოიგო, რაც სპორტის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი მიღწევაა. ასევე ვულოცავ მის გუნდს, რადგან ეულად ამის გაკეთება არავის შეუძლია. იმედია, 20 მხოლოდ ერთი მორიგი ნაბიჯია ჩვენს გზაზე. ყოჩაღ, რაფა. შენ ეს დაიმსახურე.

19 წლის პოლონელი იგა შვიონტეკი კი როლან გაროსის გამარჯვების შემდეგ ქვეყნის გმირი გახდა. შვიონტეკმა საფრანგეთის ტურნირი ისე დაასრულა, რომ სეტიც არ წაუგია. ფინალში კი, მე-4 ნომრად განთესილ სოფია კენინს სულაც საათსა და 21 წუთში მოუღო ბოლო – 6:4, 6:1.

შვიონტეკი პირველი პოლონელია, რომელმაც „დიდი სლემის“ ტურნირი მოიგო და ამით ისტორიაში ჩაეწერა. გამარჯვებულმა 1.892.160 ამერიკული დოლარი მიიღო. აღსანიშნავია, რომ აქამდე მთელი კარიერის მანძილზე შვიონტეკს მხოლოდ 1.106.808 დოლარი ჰქონდა გამომუშავებული.

შვიონტეკი მეორე ჩოგბურთელი ქალია, ვინაც როლან გაროსი სეტის წაუგებლად მოიგო. პირველად ეს ჟუსტინ ენინმა 2007 წელს მოახერხა.

19 წლის გოგონა ასევე მეორეა ასაკით მონიკა სელეშის შემდეგ, ვინაც საფრანგეთში იმარჯვა. 1992 წელს სელეშმა წარმატებას 18 წლის და 187 დღის ასაკში მიაღწია.

3-წლიანი პაუზის შემდეგ როლან გაროსი განუთესავმა ჩოგბურთელმა მოიგო. შვიონტეკმა, რომელიც 53-ე ჩოგანი იყო, გუშინდელი დღიდან მე-14 ადგილზე აინაცვლა.

მოამზადა
მისეილ ჟორჟოლიანმა

სოლსკიაერს ულტიმატუმი წაუყენეს

თუ სანაკრებო მატჩებით გამოწვეული პაუზის შემდეგ 2-3 კვირაში მანჩესტერ იუნაიტედი თამაშის ხარისხსა და შედეგებს მკვეთრად ვერ გამოასწორებს, მთავარი მწვრთნელი ოლე გუნარ სოლსკიაერი უმუშევარი დარჩება.

ამის შესახებ მანჩესტერელთა ვიცე-პრეზიდენტმა ედ ვუდვორდმა ღიად განაცხადა. ბრიტანულმა მედიამ მშვენივრად იცის სერ ვუდვორდის მკვეთრი განცხადების მიზეზი. ამ მიზეზს სახელად მაურიციო პოჩეტინო ჰქვია.

ედ ვუდვორდმა ისიც იცის, რომ ტოტენჰემის ყოფილ დამრიგებელ მაურიციო პოჩეტინოს ძალიან სურს მანჩესტერში მუშაობა და მზად არის, მისთვის ადგილის გასათავისუფლებლად სოლსკიაერი ულტიმატუმის კედელთან მიაყენოს.

ვუდვორდი ლამის იფიცება, გადაწყვეტილების მიღებისას ემოციებით არ ვიხელმძღვანელებო, მაგრამ სწორედ ემოციებმა გადასძალა, როცა შარშან, მარტში, ნორვეგიელს სრულფასოვანი კონტრაქტი შესთავაზა.

შედეგები

11 ოქტომბერი

ფეხბურთი

უეფას ეროვნული ლიგა

ა დივიზიონი

ინგლისი-ბელგია	2:1
ბოსნია-ჰოლანდია	0:0
ხორვატია-შვედეთი	2:1
ისლანდია-დანია	0:3
პოლონეთი-იტალია	0:0
საფრანგეთი-პორტუგალია	0:0

ბ დივიზიონი

ირლანდია-უელსი	0:0
ნორვეგია-რუმინეთი	4:0
ფინეთი-ბულგარეთი	2:0
ისრაელი-ჩეხეთი	1:2
რუსეთი-თურქეთი	1:1
ჩრ.ირლანდია-ავსტრია	0:1
სერბეთი-უნგრეთი	0:1
შოტლანდია-სლოვაკეთი	1:0

გ დივიზიონი

ყაზახეთი-ალბანეთი	0:0
სომხეთი-საქართველო	2:2
ლიტვა-ბელარუსი	2:2
ესტონეთი-ჩრ.მაკედონია	3:3
საბერძნეთი-მოლდოვა	2:0
კოსოვო-სლოვენია	0:1

ჩოგბურთი

ხოლან გაროსი

ფინალი

კაცები

ჯოკოვიჩი-ნადალი 0:6,2:6, 5:7

ქალები

შვიატეკი-კენინი 6:4,6:1

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯვრიანი ბ



შვეულად: 1. სათავგადასავლო კინოს ერთ-ერთი ჟანრი; 2. ქართველ მამაკაცთა თავსაბურველი; 3. ცის უმაღლესი, წარმოსახვითი წერტილი; 4. მსუნაგი ადამიანი; 5. დიდი ქრისტიანული დღესასწაული; 8. შემინული აივანი; 12. მდინარე ჰამბურგში; 13. ტროპიკულ წყლებში ბინადარი დიდი ზომის ფრინველი; 14. ცნობილი ნიდერლანდელი ფეხბურთელი; 16. ადამიანის ცნობიერების გარეშე მისგან დამოუკიდებლად არსებული ობიექტური რეალობა; 18. ძველად სატუსაღო, დღევანდელი იმპრესიონიზმის მუზეუმი პარიზში; 20. ალასკას ადმინისტრაციული ცენტრი.

თარაზულად: 6. კამათის, პოლემიკის წარმართვის ხელოვნება; 7. იტალია-საფრანგეთის დამაკავშირებელი საავტომობილო-სარკინიგზო გვირაბი; 8. რეგიონი კახეთში; 9. საჭმელთა ჩამონათვალი; 10. ეგეოსის ზღვისპირა კურორტი, ნავსადგური საბერძნეთში; 11. ნადირობის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 15. ესპანელი კინორეჟისორი; 17. აქვსენტი ცაგარელის პიესა; 19. ქართველი მწერალი, რომან „თვალი პატიოსანის“ ავტორი; 21. ბილიარდის თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 22. კიდული რკინიგზა; 23. ცნობილი ბაზარი ბარსელონაში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ჯუნგლი; 2. წოტი; 3. ინდონეზია; 4. გოთუა; 5. ვერსაჩე; 8. ფერაძე; 9. კალანდაძე; 12. დურუჯი; 14. ნამაზი; 16. ალიბი.

თარაზულად: 1. ჯვრისწერა; 6. ანტიგონე; 7. ნეოფიტი; 9. კრეოლი; 10. ლადა; 11. კასტელი; 13. კანოე; 15. ლუგელა; 17. ვანდომი; 18. ჯუღელი; 19. გრიზლი; 20. სილეზია.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. კონფუცი; 2. კომუნიკე; 3. აირანი; 4. რანჩო; 5. ნიველირი; 8. კერამიკა; 12. ბახი; 13. სათაფლია; 14. ნიანგი; 16. ტაპირი; 18. სკოტი; 20. მწდე.

თარაზულად: 6. სომბრერო; 7. ერისთავი; 8. კეხურა; 9. ცურვა; 10. დინამიკა; 15. ტაქიკარდია; 17. მინდია; 19. გრამაფონი; 21. პლეიბოი; 22. ბატალიორი; 23. დესპანი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

13 ოქტომბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.2172

ევრო — 3.7966

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.1647

100 რუსული რუბლი — 4.1679

ამინდის პროგნოზი 13 ოქტომბრისათვის

სამკაულების დიზაინერი მაია მიქაშავიძე ქალბატონებს დაასაქმებს

სამკაულების დიზაინერი მაია მიქაშავიძე იმ ქალბატონებს დაასაქმებს, ვისაც ეს ყველაზე მეტად სჭირდება. ინფორმაცია ხელოვანმა ინტერნეტით გაავრცელა:

– ბევრი ქალი მწერს და მთხოვს დახმარებას. უარი არ მითქვამს არავისთვის, მცირედს ვუწილადებ ხოლმე, მაგრამ მინდა ვუთხრა მათ, არც ისეთი მდიდარი ვარ, რომ მუდმივი დახმარება შევძლო. თან ძალიან მაღიზიანებს ასეთი ადამიანები, ვინც სხვის ხარჯზე აჩენს ბავშვებს და მერე აშიმშილებს. არ ვგულისხმობ ინვალიდებს და პირიქით, ვუთანაგრძნობ მათ.

ბევრი ფიქრი არ დამჭირვებია და გადავწყვიტე, ყველა, ვინც ამ დღეშია და უსუსურ, უმწეო შვილებს თავიანთი უნიათობით აუბედურებს, ეს საქციელი კანონით უნდა ისჯებოდეს, დავასაქმო. ანუ გადავამისამართო შესაბამის ორგანიზაციებთან. დამირეკეთ დედებო, ვის შვილებსაც შიათ. 599 50 62 45 მაია.

რუსთავში მერაბ კოსტავას ძეგლი გაიხსნება



რუსთავში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის, მერაბ კოსტავას ძეგლი გაიხსნება.

ინფორმაცია ჟურნალისტმა ნინო მიქიაშვილმა გაავრცელა:

– 13 ოქტომბერს მერაბ კოსტავას ძეგლი იხსნება რუსთავში, მისივე სახელობის ქუჩის პირველ ნომერთან, პარკთან ახლოს. ძეგლის ავტორი გახლავთ ვალერიან ჯიქია.

13 ოქტომბერს მერაბ კოსტავას საეჭვო ვითარებაში გარდაცვალებიდან 31 წელი სრულდება.

საბალეტო დასი „დონ კიხოტს“ ღია ცის ქვეშ იცეკვებს

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საბალეტო დასი ხანგრძლივი პაუზის შემდეგ მონატრებულ მაყურებელს უბრუნდება.

წარმოდგენები პანდემიის გამო ამჯერად ღია ცის ქვეშ, თეატრის ეზოში 15 ოქტომბრიდან გაიმართება. საბალეტო დასი ლუდვიგ მინკუსის სუიტას ბალეტიდან „დონ კიხოტი“ წარმოადგენს. სარეპეტიციო დარბაზებში მაყურებელთან დასაბრუნებლად დასის წევრები უკვე აქტიურად ემზადებიან.

ყველა სპექტაკლზე დასასწრები ბილეთები ისე სწრაფად გაიყიდა, რომ თეატრის ხელმძღვანელობამ მაყურებლის დაჟინებული თხოვნა გაითვალისწინა და სპექტაკლები დაამატა.

ასტროპროგნოზი

13 ოქტომბრისათვის

ვერძი – დრო, ფასეულობები საფუძვლიანად გადააფასოთ. მარტოხელებმა პარტნიორის არჩევისას დიდი სიფრთხილე და ყურადღება უნდა გამოიჩინოთ. **ჯერო** – მერკურის რეგრესული მოძრაობა თქვენს ფინანსებს საფრთხეს უქადის. გელით გაუთვალისწინებელი ხარჯები, რომელიც, შესაძლოა, ბინის სარემონტო სამუშაოებს უკავშირდებოდეს. **ტყუპები** – დაბნეულობა და საკუთარ თავში დაურწმუნებლობა დღის ნეგატიურ ტენდენციებს გაზრდის. ეცადეთ, სისუსტე არ გამოიჩინოთ. **კირჩხიბი** – კონკრეტული გეგმა შეადგინეთ და მისი მიხედვით იმოქმედეთ. გადაწყვეტილების მიღებამდე კარგად დაფიქრდით. **ლომი** – სწორედ დღეს, შესაძლოა, თქვენი მსოფლმხედველობა მთლიანად შეიცვალოს. გელით ასევე შემოქმედებითი არეალის ცვლილება. **ქალწული** – ნებისმიერ საქმეს სრული სერიოზულობითა და პასუხისმგებლობით მოეკიდეთ. წარმატება გელით კომერციულ სფეროში, რომელსაც მერკურის კეთილისმყოფელი ზეგავლენა უზრუნველყოფს. **სასწორი** – ყოველგვარი საქმე გადადეთ და კარგად დაისვენეთ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. **ღრიანკალი** – შესაძლოა, სამსახური ან საცხოვრებელი ადგილი შეიცვალოთ. ეცადეთ, ნებისმიერ ტრანსფორმაციას მშვიდად შეხვდეთ. **მშვილდოსანი** – მოგიხდებათ მოგზაურობა, მსუბუქი ფიზიკური დატვირთვა. კეთილისმყოფელი დღეა ხალხური მეთოდებით მკურნალობისათვის. **მსხის რქა** – ზედმეტი ამბიციები მოიშორეთ და დასახული მიზნისკენ ისწრაფეთ. წარმატება თქვენს პრაქტიკულობაზეა დამოკიდებული. **მერწყული** – ცდუნებას არ აჰყვეთ. პროვოკაციული დღეა. ყურადღებას ნუ მოადუნებთ. **თევზები** – დღის პირველ ნახევარში ინტუიციას მიენდეთ. ორგანიზმის თავდაცვითი რეაქცია ძლიერდება.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

ერთი ქალი მეორეს ეკითხება:

– კლასიკას უსმენ?
– არა!
– რატომ?
– მასში ახალი არაფერია!

•••

ემიგრანტი სახლში ცოლს წერილს უგზავნის და წერს:

– საყვარელო, ამ თვეში, სამწუხაროდ, ფულს ვერ გიგზავნი. სამაგიეროდ, გიგზავნი 100 კოცნას. შენი გივი.

ცოლმა უპასუხა:

– მადლობა, ძვირფასო, 100 კოცნისთვის! აი, გიგზავნი ხარჯის ანგარიშს: მერძევე ერთი ბოთლი რძის საფასურად ორ კოცნას დამთანხმდა, ელექტრიკოსი, მხოლოდ შვიდის შემდეგ დამთანხმდა, სახლის პატრონი ყოველდღე მოდის თავისი სამი კოცნისთვის, მაღაზიის მფლობელი მხოლოდ კოცნას არ დასჯერდა და სხვა რამის მიცემაც მომიხდა... კიდევ სხვადასხვა ხარჯები – 40 კოცნა. არ ინერვიულო ძვირფასო, კიდევ 35 კოცნა დამრჩა თვის ბოლომდე. შემდეგი თვისთვისაც იგივე დავგეგმო? შენი საყვარელი მეუღლე.

•••

მამაკაცი მღვდელს ეკითხება:

– მამაო, მთელი დღე თავში ჩამესმის ხმა, რომელიც მეუბნება, თუ რა უნდა გავაკეთო. ფიქრობთ, რომ ეშმაკებს ვყავარ შეპყრობილი?

– არა, უბრალოდ, ცოლიანი ხარ.

•••

– სალამ ალეიქუმ, – წარმოთქვა მგელმა.

– ოჰ... მგონი, გადავრჩით, – გადაულაპარაკეს ერთმანეთს გოჭებმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა



რობერტ ლევანდოვსკიმ ტრავმა მიიღო

მიუნხენის ბაიერნის და პოლონეთის ნაკრების ფორვარდმა რობერტ ლევანდოვსკიმ იტალიის ნაკრების წინააღმდეგ შეხვედრაში ტრავმა მიიღო და მოედანი დროზე ადრე დატოვა. ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც ლევანდოვსკი პოლონეთის ნაკრების შეხვედრის დროს შეცვალეს. ჯერჯერობით უცნობია, რამდენად სერიოზულია მისი ტრავმა, თუმცა, სავარაუდოდ, მას მინიმუმ ორი კვირის გამოტოვება მოუწევს, რაც იმას ნიშნავს, რომ ის ბაიერნს უახლოეს შეხვედრებში ვერ დაეხმარება.

პუიოლი: „არ მინდა, რომ მესი ბარსელონადან წავიდეს“

ბარსელონას ლეგენდამ კარლეს პუიოლმა მესის შესახებ კომენტარი გააკეთა და თქვა, რომ მას არ სურს მისი ბარსელონადან წასვლა, რადგან მესის ჯერ კიდევ შეუძლია მაღალ დონეზე თამაში:

– როდესაც გავიგე, რომ მესი ბარსელონაში დარჩა, ეს ამბავი ძალიან გამიხარდა, რადგან ვთვლი, რომ ჯერჯერობით მან გუნდი არ უნდა დატოვოს. არ ვიცი, სეზონის ბოლოს რა იქნება, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ლეო წასვლას გადაიფიქრებს. მას კიდევ შეუძლია რამდენიმე წელიწადი მაღალ დონეზე თამაში.

კოუტინიო: „ბარსელონაში ძალიან ბედნიერი ვარ“

ბარსელონაში დაბრუნებულმა ფილიპე კოუტინიომ თავის ამჟამინდელ მდგომარეობაზე ისაუბრა და თქვა, რომ ის ძალიან ბედნიერია და იმედი აქვს, რომ ბარსელონასთან ერთად ბევრ ტიტულს მოიგებს:

– ძალიან მოტივირებული ვარ და მინდა, რომ ბარსელონას ახალ გამარჯვებებში დავეხმარო და ამისთვის ყველაფერს გავაკეთებ. თავს კარგად ვგრძნობ და მინდა ყველას ვაჩვენო ჩემი შესაძლებლობები. დარწმუნებული ვარ, რომ ბარსელონას კარგი სეზონი ექნება.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

სალმა ჰაიეკმა ისევ გააკვირვა ფანები საცურაო კოსტიუმში გადაღებული ფოტოთი



მექსიკური წარმოშობის ამერიკელმა მსახიობმა, 54 წლის სალმა ჰაიეკმა საცურაო კოსტიუმში გადაღებული სელფი გამოაქვეყნა და ისევ გააოცა საკუთარი თაყვანისმცემლები. ფოტოსურათი მან ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა. სოციალურ ქსელში განთავსებულ ფოტოზე მსახიობი უმაკიაჟოდაა, სველი თმებით და წითელი ბიკინით.

– ისეთი სახე მაქვს, რომ თითქოსდა რაიმე სიღრმისეულზე ვფიქრობ, სანამ სელფის ვიღებ და იმედი მაქვს, რომ კადრში ვარ, – დაწერა მან სელფის კომენტარში, რომელმაც 585 ათასზე მეტი მოწონება მიიღო.

ამერიკელი მსახიობის მისამართით აღფრთოვანებული კომენტარები არ დაიშურეს მისმა თაყვანისმცემლებმა.

– შენ ისეთივე შთამბეჭდავი და უმშვენიერესი ხარ, როგორიც 20 წლის წინ იყავი, – დაწერა ერთ-ერთმა თაყვანისმცემელმა.

– წითელი ფერი ძალიან გიხდება, – აღნშნა მეორემ.

– სექსუალური მექსიკელი! – აღიარა მესამემ.

– იდეალური ხარ! – დაწერა კიდევ ერთმა თაყვანისმცემელმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ოსკარზე საქართველოს დეა კულუმბეგაშვილის ფილმი „დასაწყისი“ წარადგენს

საქართველოს 2021 წლის „ოსკარზე“ საერთაშორისო ფილმის კატეგორიაში რეჟისორ დეა კულუმბეგაშვილის ფილმი „დასაწყისი“ წარადგენს.

ფილმების წარდგენის ვადის ამოწურვის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ წელს ოსკარზე საქართველოს კანდიდატი ფილმის სტატუსის მოსაპოვებლად 3 ქართული ფილმი იბრძოდა: „დასაწყისი“ – რეჟისორი დეა კულუმბეგაშვილი, „უარყოფითი რიცხვები“ – რეჟისორი უტა ბერია და „ურსუსი“ – რეჟისორი ოთარ შამათავა.

ამერიკის კინოაკადემიის 2021 წლის საერთაშორისო სრულმეტრაჟიანი ფილმის ნომინაციისთვის საქართველოს კანდიდატი ფილმი სპეციალურმა კომისიამ გამოავლინა, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ ედმონდ აბაშიძე-მინაშვილი, ოთარ ბუბაშვილი, გოგი გვახარია, ლაშა ბაქრაძე, ნანა დოლიძე, რამაზ ხოტივარი, ალეკო ცაბაძე, გიორგი შველიძე, სალომე დემურია, ია შუღლიაშვილი, მაკო ჭილაშვილი, ანა ჭყონია, მარიამ ხაჭვანი, ვაკო კირკიტაძე და ლაშა ცქვიტინიძე.

2021 წლის ოსკარის საერთაშორისო სრულმეტრაჟიანი ფილმის ნომინაციისთვის საქართველოს კანდიდატი ფილმის შერჩევა ეროვნულმა კინოცენტრმა 1 სექტემბერს დაიწყო. წარმოდგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში, ქართველ კინემატოგრაფისტებს განაცხადის გაკეთება 30 სექტემბრის ჩათვლით შეეძლოთ.

კვალიფიციური ფილმების ნახვის შემდეგ, სპეციალურმა კომისიამ საქართველოს კანდიდატი ფილმი ფარული კენჭისყრის საფუძველზე გამოავლინა.

– ვულოცავ დეას და მთელ შემოქმედებით ჯგუფს, საოცარი ფილმია, ხალხო, საოცარი! – განაცხადა ედმონდს აბაშიძე-მინაშვილმა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯვოსვოხდი ა



შვეულად: 1. ბრიტანული ყველი; 2. მიწის ფართობის საზომი ერთეული აშშ-ში; 3. ძველი ქართული ლექსის ერთ-ერთი ფორმა; 4. ბალნეოლოგიური კურორტი სამეგრელოში; 5. ოპერა „დაისის“ პერსონაჟი; 8. საფრანგეთის ნაკრებისა და ლონდონის „ტოტენჰემის“ ფეხბურთელთა გუნდების მეკარე; 9. ოსური ხაჭაპური; 12. ღვთისმშობლის სახელწოდება კათოლიკეებში; 14. ეთერზეთებით მდიდარი, ყვავილოვანი, დეკორატიული მცენარე; 16. ერთ-ერთი პირველი კინოთეატრი თბილისში.

თარაზულად: 1. რაიონული ცენტრი გურიაში; 6. მეტისმეტად კომიკური, მხიარული წარმოდგენა; 7. ფირმა „ადიდასის“ დამფუძნებელი; 9. ჩარხზე მომუშავე ოსტატი; 10. ყველაზე დიდი ტბა იაპონიაში; 11. ერთუჯრედიანი მიკროსკოპული ორგანიზმი, ბაქტერია; 13. მელაზე, კურდღელზე სანადაოდ გამოყენებული ბრიტანული ძაღლის ჯიში; 15. იმრე კალმანის ოპერეტა; 17. ბუნებრივი ნაკრძალი აფხაზეთში; 18. სახელმწიფო ევროპაში; 19. ფარული დაცინვა; 20. ლირიკული სიმღერა.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა